ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პრეზიდენტმა 13 მსჯავრდებული შეიწყალა

გვ.5

ოთხშაბათი, 24 მაისი, 2023 №100 (9136) ფასი: 80 თეთრი

ვიქტორ ყიფიანი და კახა კუჭავა პარტიას ქმნიან?!

გვ.2

სოსო ცინცაძე: „ქართულ პოლიტიკაში გადახალისების, ახალი ძალებისა და ახალი მოთამაშეების გამოჩენის დრო დადგა“

გვ.3

„გიორგი გაჩეჩილაძე: „რაც პუტინმა ჩაიდინა 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ ტერიტორიების ოკუპაციით, 2014 წელს ყირიმის ანექსიით და ახლა უკრაინაში შეჭრით, რუსეთი, ფაქტობრივად, იზოლირებულ სახელმწიფოდ გადააქცია. უკრაინაში ომის წაგების შემდეგ, რუსეთი მთლიანად იზოლაციაში აღმოჩნდება.“

„ომი უკრაინის გამარჯვებით დამთავრდება, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი შეიძლება მარტივად მოხდეს“

„ეს ბლიცკრიგი არ იქნება“

„დასავლეთის მიდგომა უკრაინის მიმართ დახმარებისას სისტემური უნდა იყოს“

გვ.4



გვ.6

ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის მიერ უკრაინის გენოციდი აღიარა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კატარის პრემიერ-მინისტრს შეხვდა

გვ.3

სოციალურ ქსელში დაწყებული უთანხმოების გამო ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

გვ.5

2 გიგა ბოკერია ნიკა გვარამიაზე: „პრეზიდენტის პოლიტიკური განაჩენია, როცა ასეთ საქმეზე მის მთავარ ინსტრუმენტს არ იყენებს“

3 ოკუპირებულ სოხუმში მოკლულია თურქეთის მოქალაქე, დაჭრილია 12 წლის ბავშვი

5 ვინ არის მამაკაცი, რომელმაც ტაილანდელი ქალები საქართველოში ჩამოიყვანა

6 გიორგი მამარდაშვილი: „ფეხბურთში რასიზმის ადგილი არ არის, მე გუნდელს ვიცავდი“

19932307202 23

ვიქტორ ყიფიანი და კახა კუჭავა პარტიას ქმნიან?

სოსო ცინცაძე: „ქართულ პოლიტიკაში გადახალისების, ახალი ძალებისა და ახალი მოთამაშეების გამოჩენის დრო დადგა“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენის გამო შეშფოთება გამოხატა და არ გამორიცხა ავიაკომპანიების დასანქცირებაც. ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე ეს კონკრეტული გადაწყვეტილება გავლენას იქონიებს?

– რასაკვირველია, იქონიებს. სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან მსგავსი განცხადება სრულიად მოსალოდნელი იყო და არავინ თქვას ხელისუფლებიდან, რომ ეს მოულოდნელი იყო მათთვის.

– მაკა ბოჭორიშვილმა თქვა, მოულოდნელი იყო და მხარდაჭერას უფრო ელოდნენ.

– დიპლომატიის ანი და ბანი როგორ უნდა ასწავლო ახლა ამ ხალხს?! როდესაც ელჩი ლაპარაკობს, ეს ნიშნავს, რომ ის თავის სახელმწიფოს მეთაურებს ახმოვანებს. როდესაც ელჩმა დეგნანმა ისაუბრა კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც სწორედ ფრენების აღდგენას ეხებოდა, ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ იყო ვიზირებული. არც ერთი ქვეყნის ელჩი თავის სურვილებზე არასდროს არ საუბრობს, ამდენი ხომ უნდა გესმოდეს. ეს ბავშვმაც კი იცის, არათუ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელმა. დიპლომატია სახლობანას თამაში რომ არ არის, ხომ უნდა ხვდებოდნენ!

რისკები არსებობს, საუბრობენ ამერიკელები. როგორც ჩანს, ესენი ამ რისკებზე მიდიან. ამერიკელებს ჯერ ფაქტი არ გამოუვლენიათ, ჯერ მხოლოდ რისკებზე საუბრობენ.

რა საფრთხე არსებობს?! არსებობს მიკროჩიპების გადატანის საფრთხე. რუსეთი ტანკებსა და ავიახომალდებს რომ არ გადაზიდავს, ეს ცალსახაა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ რაიმე საეჭვო გამოავლინოს ამერიკამ, მაშინ მართლაც დაიძაბება ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა.

არ მინდა იმაზე ლაპარაკი, ამერიკა-საქართველოს შორის პარტნიორულ ურთიერთობაზე როდიდან დაიწყო საუბარი და მუშაობა. რა შრომაა ამაში ჩადებული. როგორი იყო დასაწყისში ეს ურთიერთობები და რა ძალისხმევა გახდა საჭირო, რომ ეს ორმხრივი ურთიერთობა პარტნიორული, მერე უკვე სტრატეგიულ-პარტნიორული გამხდარიყო. ამ მიმართულებით ოდნავი ბზარის გაჩენის წარმოდგენაც კი არ მინდა, რა ფასი შეიძლება ეს ჩვენს ქვეყანას დაუჯდეს.

– შიდა პოლიტიკურ პროცესებზე მინდა გკითხოთ. ივანიშვილის ყოფილი ადვოკატი ვიქტორ ყიფიანი არ გამორიცხავს პოლიტიკაში შემოსვლას. ის ბაზარზე არსებულ მოთხოვნილებაზე საუბრობს. – საზოგადოებას აქვს მოთხოვნილება ახალ მოთამაშეებზე – ეს მისი სიტყვებია.

– დიახ, სწორი ანალიზია, სწორი დასკვნაა დადებული. არა მხოლოდ ბოლო სოციოლოგიური კვლევები, არამედ უკვე წლებია სწორედ ახალ მოთამაშეებზე, ახალ სახეებზეა მოლოდინი. ამიტომ, როგორც იტყვიან – რატომაც არა! სხვათა შორის, ელექტორატის 60 პროცენტზე მეტი, რომელიც სიახლის მოლოდინშია, არა მხოლოდ ყიფიანს გაუჩენს ამ სურვილს, სხვას ბევრსაც. ერთადერთი, ბაიდენისა და ტრამპის ასაკის პოლიტიკოსებს საქართველოში უკვე დიდი შანსები აღარ აქვთ. ხომ იცით, ჩვენნაირ ქვეყანაში ახალგაზრდებს უფრო აქვთ მიზიდულობის უნარი, ქარიზმა. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ახალგაზრდები გამოვიდნენ ავანსცენაზე. ეს არ იქნება ცუდი. პირიქით, უნდა გამოვიდნენ და ახლი იმედები, მოლოდინები უნდა გააჩინონ.

არსებული ოპოზიციისა და „ქართული ოცნების“ რეიტინგი დაღმავალია. მათ არაფრის სიახლის შეთავაზების უნარი არ აქვთ. უკვე არსებულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, ცხადია, „ოცნებასაც“ ვგულისხმობ, საკუთარი თავი ამოწურეს. ამიტომ სიახლის მოლოდინია. დროც საკმარისია. არჩევნებამდე წელიწადზე მეტია დარჩენილი. ეს საკმარისი დროა სერიოზული განაცხადისთვის.

– ყიფიანს ჟურნალისტებმა პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე კუჭავასთან ერთად გადაღებულ სელფზე ჰკითხეს, მასთან ერთად ხომ არ აპირებდა პოლიტიკურ საქმიანობას.

– სიმართლე გითხრათ, კუჭავასთან დაკავშირებით არავითარი ცუდის თქმა არ შემიძლია. პირიქით, ძალიან მისაღები და კარგი ჟესტით დაამახსოვრა საზოგადოებას თავი.

– პარლამენტის შენობის წინ ოდიოზური ფიგურების მიერ ჩამოხსნილი ევროკავშირის დროშა აღმართა.

– დიახ, სწორედ ამ ფაქტს ვგულისხმობდი. ეს ფაქტი ძალიან ბევრ ადამიანს მის მიმართ სიმპათიით განაწყობს. მას შეიძლება სერიოზული პერსპექტივა ჰქონდეს სწორედ მისი დასავლური კურსის გამო. ვნახოთ, თუ მოისურვებს პოლიტიკაში დაბრუნებას, რა განცხადებებს გააკეთებს, ამაზე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული. თუმცა, ცხადია, მხოლოდ განცხადებები არ არის საკმარისი. სხვა ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მნიშვნელოვანია გუნდი, ფინანსები, საერთაშორისო მხარდაჭერა, შიდა განწყობები, რომელიც შენი მისამართით არსებობს და, რასაკვირველია, ქარიზმა. რამდენად აქვს ამ ახალგაზრდა კაცს ქარიზმა.

რაც შეეხება ყიფიანს, მასზეც იგივეს თქმა შეიძლება ცოტა განსხვავებული კუთხით, ის მაინც ივანიშვილის ყოფილი ადვოკატია. ერთი, რაც დადებითად აისახება მასზე, ვერავინ ვერ წამოაძახებს წარსულში პოლიტიკურ განცხადებებს. არც პოლიტიკურ ნაბიჯებს ამა თუ იმ მიმართულებით. როდესაც პოლიტიკაში პირველად მოდიხარ, პოლიტიკურ წარსულს ვერ წამოგაძახებენ, ეს დადებითი ნამდვილად ახლავს, მაგრამ არის გამოუცდელობა. თუმცა, თუ სერიოზული მრჩევლები ეყოლება, ეს დაძლევადია.

დღეს ისეთი ქაოსია ქართულ პოლიტიკაში, რომ კატასტროფული სისწრაფით კარგავს ყველა პარტია რეიტინგსა და ხალხის ნდობას. ასეთი სუსტი ოპოზიცია, სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მახსენდება. თუ ახალი არავინ არ გამოჩნდება, საერთოდ, აუღელვებლად, ყოველგვარი დიდი სამზადისის გარეშე, არჩევნებს ისევ „ქართული ოცნება“ მოიგებს. ასეთი დაბნეული, ასეთი მოუმზადებელი, ასეთი სუსტი ოპოზიცია ჯერ არ ყოფილა. თითქოს, ეს სივრცე ნელ-ნელა თავისუფლდება. როგორც ჩანს, ბუნებრივად გაჩნდება სიცარიელე. ცარიელი ადგილი კი დიდხანს რომ არ რჩება, ამ სიბრძნის შესახებ ალბათ ოპოზიციასაც სმენია. ქართულ პოლიტიკაში გადახალისების, ახალი ძალებისა და ახალი მოთამაშეების გამოჩენის დრო ნამდვილად დადგა.

გიგა ბოკერია ნიკა გვარამიაზე: „პრეზიდენტის პოლიტიკური განაჩენია, როცა ასეთ საქმეზე მის მთავარ ინსტრუმენტს არ იყენებს“

„ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარის, გიგა ბოკერიას განცხადებით, პარტია უერთდება 27 მაისს დაგეგმილ ნიკა გვარამიას მხარდამჭერ აქციას, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან გაიმართება.

ბოკერიას თქმით, მნიშვნელოვანია, საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა პრეზიდენტს კიდევ ერთხელ მიუტანოს გზავნილი, ასევე გააგებინოს საერთაშორისო აუდიტორიასაც.

როგორც მან განმარტა, ზურაბიშვილის ზოგადი საუბრები ევროპულ არჩევანზე, არაფრისმთქმელია, თუ ის ნიკა გვარამიას არ შეინყალებს.

– მინდა გავახსენო ყველას, რომ მას ეს ინსტრუმენტი წარსულში გამოყენებული აქვს ძალიან წინააღმდეგობრივ კრიმინალურ შემთხვევებზე.

გვარამიას შემთხვევაში, ზედაპირზე დევს ის, რომ ეს გაკეთებულია იმისთვის, რათა რეჟიმს ეჩვენებინა ყველასთვის, უტიფრად, თავხედურად შეიძლება დავიჭირო კრიტიკული მედიის მენეჯერი თავისი კომპანიის მანქანის გამოყენებისთვის – ასეთი საქმისთვის არ იყენებს ამდენი ხანი.

ეს ჩემთვის პოლიტიკური განაჩენია ამ პრეზიდენტზე. თუ მას სურს, რომ რაღაც მაინც გამოასწოროს მის მიერ გაფუჭებულ საქმეში, აი, ეს არის მისი შესაძლებლობა. ამას უნდა მიეძღვნას ეს აქცია და ჩვენ ამ გზავნილს მივიტანთ, – აღნიშნავს გიგა ბოკერია, რომლის კომენტარსაც პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.

თენგიზ ცერცვაძე: „ბოლო პერიოდში საქართველოში ყირიმ-კონგოს 8 შემთხვევა დაფიქსირდა, 6 მათგანი გაეწერა, 2 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას“

ბოლო პერიოდში საქართველოში ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 8 შემთხვევა დაფიქსირდა, ძირითადად სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონებში, – ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი, თენგიზ ცერცვაძე სოციალურ ქსელში წერს.

როგორც ცერცვაძე აღნიშნავს, მათგან 6 პაციენტი უკვე გაეწერა, 2 პაციენტი კი აგრძელებს მკურნალობას.

მისივე თქმით, ინფექციის რეზერვუარები არიან მრავალრიცხოვანი შინაური და გარეული ცხოველები, რომლებზეც ტკიპები პარაზიტობენ.

– ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება – რა უნდა იცოდეს მოსახლეობამ.

ბოლო პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 8 შემთხვევა, ძირითადად სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონებში. რვავე პაციენტი მოთავსებულ იქნა ინფექციური პათოლოგიის და შიდსის ცენტრში. ყველა გადარჩა. 6 მათგანი უკვე გაეწერა, 2 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ცხელი სეზონის დადგომასთან ერთად საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, აქტუალური ხდება ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების გავრცელება.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება განეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ ინფექციებს, რაც განპირობებულია ამ დაავადებით გამოწვეული მაღალი ლეტალობით: 10-40% (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია), მაღალი გადამდებლობით და ეფექტიანი სპეციფიკური სამკურნალო მედიკამენტების/ვაქცინების პრაქტიკულად არარსებობით. განიხილება ანტივირუსული მედიკამენტის რიბავირინის გამოყენება, თუმცა მყარი მტკიცებულებები მის ეფექტიანობაზე ჯერჯერობით არ არის.

ინფექციის რეზერვუარები არიან მრავალრიცხოვანი შინაური და გარეული ცხოველები (თაგვები, ზღარბები, კურდღლები, ძროხები, ცხვრები, თხები და სხვ.), რომლებზეც ტკიპები პარაზიტობენ.

ადამიანების 80-90% ინფიცირდება ტკიპების ნაკბენის, ასევე ინფიცირებული ცხოველის/საქონლის სისხლთან ან ქსოვილებთან პირდაპირი კონტაქტის შედეგად (მაგალითად, ცხოველის დაკვლის დროს). ადამიანიდან ადამიანზე ვირუსის გადაცემა შესაძლებელია დაავადებული ადამიანის სისხლთან და/ან ბიოლოგიურ სითხეებთან შეხებისას (რისკი მაღალია სამედიცინო მანიპულაციების ან გვამთან შეხების დროს). შესაბამისად, რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებიან: სოფლის მეურნეობის მუშაკები, მესაქონლეები, ცხოველთა სასაკლაოს მუშაკები, ვეტერინარები, სამხედროები, მედიცინის მუშაკები, მოგზაურები (ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ენდემიურ რეგიონებში). საქართველოში ინფექცია ძირითადად გვხვდება სამცხე-ჯავახეთში (ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონები) და შიდა ქართლში (კასპის, ხაშურის, გორის რაიონები), თუმცა იშვიათად ერთეული შემთხვევები გვხვდება სხვა რაიონებშიც. ინფექციის შემთხვევები ძირითადად გვხვდება აპრილ-მაისიდან ოქტომბრამდე – როცა ტკიპები აქტიურდებიან.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2022 წელს ქვეყანაში დაფიქსირებული იყო ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 47 დადასტურებული შემთხვევა, მათგან 39 პაციენტი მკურნალობდა ინფექციური პათოლოგიის და შიდსის ცენტრში, ხოლო 8 პაციენტი – სხვა კლინიკებში. 2022 წელს ინფექციური პათოლოგიის და შიდსის ცენტრში ნამკურნალებ პაციენტებს შორის არც ერთი ლეტალური შემთხვევა არ დაფიქსირებულა. სხვა კლინიკებში მყოფი 8 პაციენტიდან გარდაიცვალა 3 პაციენტი.

შესაბამისად, 2022 წელს ქვეყანაში გამოვლენილ ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელებით პაციენტებში ლეტალობის მაჩვენებელი შეადგენდა 6,4%-ს, რაც ამ დაავადებისთვის ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ხოლო ბოლო 10 წლის მანძილზე ლეტალობის მაჩვენებელი საშუალოდ დაახლოებით 10-11%-ია, რაც ასევე ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ევროპის ქვეყნებში.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება იწყება უეცრად და ახასიათებს შემდგომი სიმპტომები: თავის ტკივილი, მაღალი ტემპერატურა, ზოგადი სისუსტე, თვალების, სახის და კისრის მიდამოს სიწითლე, სისხლჩაქცევები (წითელი, ყავისფერი ან იასამნისფერი ლაქები კანზე), სისხლდენა ღრძილებიდან და შინაგანი ორგანოებიდან, გამონაყარი (პეტექიური, მაკულო-პაპულოზური), სახსრებისა და კუნთების ტკივილი, ტკივილი მუცლის არეში, ღებინება, სიყვითლე, სისხლში თრომბოციტოპენია, ლეიკოპენია და სხვ. შესაძლოა იყოს ფარდობითი ბრადიკარდია.

დიაგნოზის დადასტურება ხდება ლაბორატორიული კვლევებით (PCR ტესტი, ანტისხეულები და სხვ.). მკურნალობა მოიცავს როგორც ანტივირუსულ მკურნალობას (რიბავირინით), ისე დამხმარე და სიმპტომურ თერაპიას.

დაავადების პრევენციაზე ლისხმობს: ტკიპების საწინააღმდეგო პირადი პროფილაქტიკის დაცვას (სპეცტანსაცმელი, რეზინის ფეხსაცმელი, ხელთათმანები); ტანსაცმლის და ფეხსაცმლის დამუშავებას აკარაციდებით (ტკიპების გამანადგურებლებით); კანის რეპელენტების (მწერების, ტკიპების დამაფრთხობლების) გამოყენებას; ავადმყოფი ცხოველის იზოლაციას; საქონლის დაკვლაში მონაწილეობისას ხელთათმანების გამოყენებას და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ტკიპა ადამიანის კანიდან მოცილებული უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მალე პინცეტის მეშვეობით, ისე, რომ კანში არ ჩარჩეს ტკიპის პირის ნაწილები. ტკიპის მოშორების შემდეგ ნაკბენი ადგილი და ხელები საფუძვლიანად უნდა დამუშავდეს ალკოჰოლის შემცველი ხსნარით ან საპნითა და წყლით.

დაავადების დამძიმების და, შესაბამისად, არასახარბიელო გამოსავლების თავიდან ასაცილებლად, უაღრესად მნიშვნელოვანია მკურნალობის დროული დაწყება, ამიტომ პაციენტმა დაავადების კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას, რათა ექიმის მიერ მოხდეს დროული და ზუსტი დიაგნოსტირება და შესაბამისი მკურნალობის ჩატარება.

მინდა მივმართო აგრეთვე ოჯახის ექიმებს და კლინიკებს, რომ ვინაიდან ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ ინფექციებს მაღალი ლეტალობით, სასურველია, რომ ამ დაავადებაზე საეჭვო ყველა ავადმყოფი გადაყვანილ იქნას ინფექციური პროფილის სპეციალიზებულ რეფერალურ კლინიკაში, რომელთაც აქვთ ამ დაავადების მართვის სერიოზული გამოცდილება, – წერს ცერცვაძე.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 იელისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – ლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ომი უკრაინის გამარჯვებით დამთავრდება, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი შეიძლება მარტივად მოხდეს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, რუსეთის მიერ საქართველოს მიმართულებით ფრენების აღდგენამ და უვიზო რეჟიმის შემოღებამ საქართველოს ცხოვრებაში გარკვეული დისონანსი შეიტანა. რუსეთი მსოფლიოს ჭირად იქცა. ჩვენთვის ადრეც ასე იყო, მაგრამ ახლა მთელმა დასავლეთმა იგრძნო რუსეთის იმპერიალისტური გეგმების სიმწვავე. დღეს საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთი რა თამაშს თამაშობს? ბოლო დროს გაკეთებული სვლით რის მიღწევას ცდილობს?

– რუსეთმა რამდენიმე სულელური შეცდომა დაუშვა თუ დააშვებინეს. 21-ე საუკუნეში მე-17-მე-18 საუკუნის მეთოდებით იმპერიის აღდგენა მოინდომა. ამიტომ რუსეთის მარცხი საფუძველშივე გარანტირებულია, რადგან მისი ქმედებები არც ეპოქას შეესაბამება და არც დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას.

– სანამ დამარცხდება, ირგვლივ ყველაფერს ანადგურებს.

– დიახ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ რუსეთი დამარცხებისთვის განწირულია. ერთი პატარა ქალაქის აღებას 9 თვე უნდება და ისიც ვერ აუღია. ბახმუტზე ვამბობ, ის ილუზია, რომ თითქოს რუსეთს მკვლელი არმია ჰყავს და უძლეველია, ისტორიას ჩაბარდა.

ბუნებრივია, როდესაც შენ წინააღმდეგ მთელი მსოფლიო, მთელი ცივილიზებული სამყაროა ჩართული, განწირული ხარ. ასე დაემართა ჰიტლერსაც. მსოფლიო იმპერიის აშენება უნდოდა და ბოლოს რა დაემართა, ყველამ იცის. იგივე ელის რუსეთის ხელისუფლებას და პუტინს. მაგათ კისერი უტეხიათ, მაგრამ აქ ჩვენი პრობლემაა, სერიოზული, რადგან ჩვენ პროცესების ცენტრში ვართ.

– საშიშროებაა, დამარცხებულმა რუსეთმა ბოლოს კუდი არ მოიქნიოს და ჩვენ არ გაგვანადგუროს.

– დღევანდელი მსოფლიო გადანაწილების პროცესში საქართველო ყველაზე ცენტრალურ სიტუაციაში აღმოჩნდა. რეალურად, მსოფლიოს ახალი გადანაწილების პროცესი მიდის. ახალი გეოპოლიტიკა იქმნება. რუსეთმა, ფაქტობრივად, დაკარგა ის გავლენები, რომელიც ჰქონდა.

წარმოიდგინეთ, ბალტიის ზღვაში რუსეთს გავლენა აღარ დარჩა. მაშინ როდესაც, ჯერ კიდევ პეტრე I-იდან დაწყებული, უზარმაზარი გავლენა ჰქონდა.

– ახლა შავ ზღვას ებღაუჭება.

– დიახ. უკრაინაში აგრესიით (ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანება) რუსეთმა ნეიტრალური სახელმწიფოებიც კი, ბალტიის ზღვის გარშემო გააერთიანა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებად აქცია.

რუსეთმა დასავლეთ ევროპაში ენერგორესურსებით გავლენა დაკარგა, რაზეც კრემლი ევროპაში პოლიტიკას აგებდა. წარმოიდგინეთ, ევროკავშირის ტერიტორიაზე რუსული გაზის ექსპორტის წილი 50% იყო. 2023 წლის ბოლო მონაცემებით 8%-ია.

– თუმცა, ეგ 8%-იც არ უნდა იყოს.

– ეგ მონაცემი კლებადია. ევროკავშირი ხომ დივერსიფიცირებას ახდენს და ნელ-ნელა ანაცვლებს, ფაქტობრივად, არაფერი გავლენა აღარ აქვს. ნავთობის ექსპორტი ევროკავშირის ტერიტორიაზე 27% ჰქონდა, ახლა 6% აქვს.

ევროკავშირის ტერიტორიაზე რუსული ნახშირის მიწოდება 46% იყო, ახლა ნულია. ნახშირის მიწოდება აბსოლუტურად განულდა, ანუ რუსეთმა დასავლეთთან ურთიერთობაში ეს ბერკეტიც დაკარგა, რისი მეშვეობითაც კრემლი თავის პოლიტიკას აწარმოებდა.

ამდენად, რაც პუტინმა ჩაიდინა 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ ტერიტორიების ოკუპაციით, 2014 წელს ყირიმის ანექსიით და ახლა უკრაინაში შეჭრით, რუსეთი, ფაქტობრივად, იზოლირებულ სახელმწიფოდ გადააქცია. უკრაინაში ომის წაგების შემდეგ, რუსეთი მთლიანად იზოლაციაში აღმოჩნდება.

თუმცა, არავინ არ უნდა იფიქროს, რომ რადგან ომშია ჩართული, რუსეთს დაავიწყდა საქართველო ან სხვა რეგიონები, რომელშიც ის ბერკეტებს ინარჩუნებდა. ცხადია, მოლდოვასაც ვგულისხმობ, რომლის ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა და იქ სამხედრო ბაზები აქვს.

– მიუხედავად ამისა, მოლდოვა დღემდე დსთ-ის წევრია. ალბათ, ამით დასავლეთსა და რუსეთთან ურთიერთობებს აბალანსებდა.

– მოლდოვას პრეზიდენტმა ახლა განაცხადა, რომ დსთ-დან გამოსვლის პროცესი დაიწყო. ოფიციალური განცხადება გაკეთდა. პრეზიდენტ

მაია სანდუს ორგანიზებით 100-200-ათასიანი მიტინგი ჩატარდა, სადაც მან ამის შესახებ განაცხადა.

ამ შემთხვევაში საქართველო ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია. საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია კი ჰქონდა, მაგრამ რეგიონული მასშტაბის, ანუ ომის დაწყებამდე ევრაზიული დერეფნის როლი და რეგიონული მნიშვნელობა თუ ჰქონდა, ახლა საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით კონტინენტალური მნიშვნელობის გახდა.

უკრაინაში ომის გამო სანქციერების შედეგად, რუსეთის ტრანზიტი შეჩერდა. ამიტომ შუა აზიის ქვეყნები იქნება, აზერბაიჯანი თუ თურქეთი, ჩინეთიც კი, ყველა საქართველოს შემოჰყურებს, როგორც ძირითად წერტილს, საიდანაც ხდება მათი რესურსებისა და ტვირთების ევროპაში გადაზიდვა.

ჩვენი დერეფანი უფრო კარგად რომ გამოიყენონ, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა კასპიის ზღვაში თავისი პორტების გაფართოება დაიწყეს. ამაში უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ. ტვირთების ნაკადები რამდენჯერმე გაიზარდა.

ყაზახეთმა განაცხადა, რომ საქართველოს გზით ევროკავშირში ნავთობის ტრანზიტს სამჯერ გაზრდის, ანუ რუსეთის სატრანზიტო გზა მათთვის უკვე ჩაკეტილია.

წარმოიდგინეთ, ყაზახეთს საქართველოს მიმართ რამხელა ინტერესი აქვს. ფაქტობრივად, მისი ეკონომიკის წინსვლა და მისი ბიუჯეტის შემოსავლები საქართველოს სტაბილურობაზე დამოკიდებული გახდა.

ასევე, აზერბაიჯანი მთლიანად დამოკიდებულია საქართველოზე გამავალ მილსადენებსა და გაზსადენებზე, მისი ეკონომიკა ამაზეა მიბმული.

თურქეთს, რომელიც საქართველოს სატრანზიტო დერეფნით სარგებლობს, თავისი პოლიტიკური ინტერესები აქვს. მას პოლიტიკური ინტერესები აქვს შუა აზიაში თურქულენოვან ქვეყნებში, სადაც, დიდი ხანია ცდილობს, თავისი გავლენა განავრცოს.

– სომხეთს?

– სომხეთს თავისი ინტერესები აქვს. აზერბაიჯანთან კონფლიქტის დროს რუსეთმა უღალატა. რუსეთი პარტნიორებს ყოველთვის ასე ექცევა.

– რუსეთმა სომხეთი აზერბაიჯანთან ომის დროს მიატოვა.

– დიახ, ფაქტობრივად, ყარაბაღი აზერბაიჯანს დაუთმო. რეგიონში სტრატეგიული პარტნიორი გადააგდო და ყარაბაღთან დაკავშირებით მხარი აზერბაიჯანს დაუჭირა. ახლა სომხეთი ცდილობს, ევროკავშირთან ურთიერთობები გააღრმავოს. ამიტომ საქართველო მისთვის მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება გარკვეულწილად საქართველოს სატრანზიტო დერეფანზეა დამოკიდებული, რადგან ნავთობი და გაზი ჩვენი ტერიტორიიდან მიეწოდება.

– აშშ-ის ინტერესი რა არის?

– შეერთებული შტატების ინტერესია სატრანზიტო ფუნქციები უზრუნველყოს, შუა აზიის ქვეყნების რუსეთზე დამოკიდებულება ჩაჭრას, აქედან გამომდინარე, მას სჭირდება შავ ზღვაში სერიოზული გავლენის მოპოვება და საქართველო, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ქვეყანა, თავისი საკმაოდ დიდი სანაპირო ზოლით.

ყველა ეს ქვეყანა დაინტერესებულია, საქართველოში სტაბილურობა იყოს. სტაბილურობის გარეშე არაფერი გამოვა. მათი გეგმები, მათი ეკონომიკური განვითარება, რუსეთისაგან მათი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა საქართველოზეა მიბმული.

საქართველო გახდა ცენტრალური საკითხი. ამიტომ ნურავის გაუკვირდება, რომ ამერი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კატარის პრემიერ-მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კატარის ემირს, შეიხ თამიმ ბინ ჰამად ბინ ხალიფა ალ-თანის შეხვდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა და კატარის ემირმა სხვადასხვა სფეროში ორ ქვეყანას შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის დინამიკაზე იმსჯელეს. აღინიშნა, რომ საქართველოსა და კატარს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება ორივე ქვეყნის ეკონომიკური დიპლომატიის დღის წესრიგის პრიორიტეტია. გამოითქვა არსებული ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების გაღრმავებისა და გაძლიერების მზადყოფნა.





როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობა მიესალმება ქვეყანაში კატარელი ბიზნესმენების მხრიდან სხვადასხვა სფეროში ინვესტირებას.

❖ ❖ ❖

მთავრობის მეთაური კატარის პრემიერ-მინისტრს შეიხ მოჰამედ ბინ აბდულრაჰმან ბინ ჯასიმ ალ-თანის შეხვდა.

მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო გეგმები.

ხაზი გაესვა ეკონომიკური და ვაჭრობის მიმართულებით ურთიერთობის გაღრმავებისა და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის დიდი პოტენციალის სრულად გამოყენების მნიშვნელობას.

აღინიშნა ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის მაღალი დონე და ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკა.

ოკუპირებულ სოხუმში მოკლულია თურქეთის მოქალაქე, დაჭრილია 12 წლის ბავშვი

სოხუმში, სახაროვის და არძინბას ქუჩების კვეთაზე, მკვლელობა მოხდა. ამის შესახებ ინფორმაცია სააგენტო Apsnypress-ს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის პრესმდივანმა, რადა სანგულიამ დაუდასტურა.

მისივე თქმით, შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავი ორგანოები მუშაობენ, გარემოებები ზუსტდება.

აფხაზური ტელეგრამის არხების ცნობით, მსხვერპლი ახალგაზრდა რეპატრიანტია, რომელიც თურქეთიდან ჩამოვიდა. სროლის დროს შემთხვევით გამვლელი 12 წლის მოზარდი ფეხში დაიჭრა. ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარზე კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებენ.

პაატა მანჯგალაძე: „ველოდები, კობახიძეს ბელგოროდში მოვლენებზე როდის ჰკითხავენ“

– ველოდები, ირაკლი კობახიძეს ბელგოროდში მიმდინარე მოვლენებზე როდის ჰკითხავენ. დარწმუნებული ვარ, თავაწეული იტყვის, როგორ ასწავლეს გერმანიაში, რომ სუვერენულ სახელმწიფოში შეჭრა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევაა, – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, „ქართული ოცნების“ ქმედებები არა მხოლოდ საქართველოს ევროპული კურსის, არამედ ქართული სახელმწიფოსა და სუვერენიტეტის წინააღმდეგაა მიმართული.

„ქართული ოცნების“ ყველა ქმედება, ყველა ნაბიჯი მიმართულია არა მხოლოდ ჩვენი ევროპული კურსის წინააღმდეგ, არამედ ქართული სახელმწიფოსა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ესენი არიან ბოლშევიკები, იმავე პრინციპებითა და მიზნებით, ოღონდ უიარაღოდ.

ამ ბრძოლაში ისინი არ ერიდებიან არც ძალადობას, არც ცილისწამებას, არც მოსყიდვას, არც ისტორიის გაყალბებას, არც ლიტერატურული პერსონაჟების ქცევების გაუკუღმართებას. ამის ნათელი მაგალითია „სტუმარ-მასპინძლის“ ირაკლი კობახიძისეული გაგება, რომელიც მტერთან კოლაბორაციის გამართლებისთვის ვაჟა-ფშაველას იყენებს. სინამდვილეში, ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს სტუმარსა და ტანკით შემოჭრილ მტერს, რომელიც დედაქალაქიდან 30 კილომეტრში დგას. მათ უნდათ, რომ მტერთან თანამშრომლობა, მტერთან კოლაბორაცია ნორმად აქციონ, თითქოს, მერე რა, რომ რუსეთი 200 წელზე მეტია საქართველოს განადგურებას ცდილობს, მერე რა, რომ ჩვენი ძირძველი კუთხეები მიიტაცა და მიიერთა, არც ის არაფერს ნიშნავს, რომ დღესაც იმპერიის აღდგენის ჟინით უკრაინაში კლავს ქალებსა და ბავშვებს. არც ის, რომ ჰაეგის სასამართლოს მიერ გამოცემულია პუტინის დაკავების ორდერი. კობახიძე უსირცხვილოდ საუბრობს მისი უდანაშაულობის პრეზუმფციაზე.

ახლა ველოდები, როდის ჰკითხავენ ბელგოროდში მიმდინარე მოვლენებზე. დარწმუნებული ვარ, თავაწეული, ამაყად, მისთვის დამახასიათებელი უტიფრობით იტყვის, როგორ ასწავლეს გერმანიაში, რომ სუვერენულ სახელმწიფოში შეჭრა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევაა.

საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირისა და ნატოს წევრი და ამას სულ არ სჭირდება ძალიან დიდი ძალისხმევა, ამისთვის საჭიროა 50 000 ადამიანი რამდენიმე დღით ქუჩაში და ყველაფერი დასრულდება ხალხის გამარჯვებით!

არა კოლაბორაციას! არა ღალატს! – განაცხადა პაატა მანჯგალაძემ.

2023, 24 მაისი, №100

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეს ბლიცკრიგი არ იქნება“

„დასავლეთის მიდგომა უკრაინის მიმართ დახმარებისას სისტემური უნდა იყოს“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინის ვიცე-პრემიერმა ირინა ვერეშჩუკმა მოუწოდა ყირიმში დასახლებულ რუსეთის მოქალაქეებს, ნებაყოფლობით დატოვონ ნახევარკუნძული. მისი თქმით, კოლინიზატორები, კოლაბორანტები და რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც უკანონოდ იმყოფებიან ოკუპირებულ ყირიმში, რუსეთს უნდა დაუბრუნდნენ. თუ ეს არ მოხდა, მათ ნახევარკუნძულს სხვა გზით დაატოვებინებენ.

დიდი ალბათობით, ეს მოწოდება უკრაინის არმიის კონტრშეტევის დაწყებას მოასწავებს. ამ იერიშს მთელი მსოფლიო ელის.

რა რისკები ახლავს უკრაინულ კონტრშეტევას? რა პრობლემა დარჩა შეიარაღების მოწოდებაში? რა განმარტებები უნდა მისცეს ამერიკელებს აშშ-ის პრეზიდენტმა? რა გათვლა აქვს პუტინს? ამ და სხვა საკითხებზე მოსაზრებები გამოთქვეს ამერიკელმა ექსპერტებმა და უკრაინის ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა. მათი გამონათქვამები რუსულმა „ამერიკის ხმამ“ გამოაქვეყნა.

„პუტინს იმის იმედი აქვს, რომ დასავლეთი დაიღლება უკრაინის მხარდაჭერით“

„რუსულ თვითმფრინავებზე დავფიქრდებოდი“

ამერიკელი გადამდგარი გენერლის, უესლი კლარკის აზრით, მოსალოდნელი კონტრშეტევისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაზვერვა. ეს ის სფეროა, სადაც ამერიკა უკრაინას საგრძნობ დახმარებას უწევს. ამასთან, ამერიკელი სამხედროს სიტყვებით, „ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსებს საიდუმლო არა აქვთ“.

უესლი კლარკი:

– ვიცით, რომ მათ (რუსებს) დაახლოებით 900 თვითმფრინავი ჰყავთ. შეუძლიათ თუ არა, მათ გაანადგურონ უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა და მისი კონკრეტული მონაკვეთი, გაარღვიონ კონტრშეტევა? ეს ისაა, რაზეც დავფიქრდებოდი, უკრაინაში მეთაური რომ ვიყო.

უესლი კლარკისათვის გასაგებია, თუ რატომ ახდენს რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიებიდან – ზაპოროჟიეს ოლქიდან, მელოტოპოლიდან სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციას. „იმიტომ, რომ ეს ადამიანები უკრაინელი სამხედროების თვალი და ყური არიან“ – დასძენს გადამდგარი გენერალი.

კლარკი მოუწოდებს დასავლეთს, უფრო რეალისტურად შეაფასოს მომავალი უკრაინული კონტრშეტევა:

– არ ვფიქრობ, რომ ეს იქნება ბლიცკრიგი, რომელიც 2 კვირაში დამთავრდება. მთელი იარაღი, რომელიც ბოლო დროს უკრაინაში შევიდა, მარტო ბრძოლის ველზე უპირატესობა კი არაა, ეს არის ლოჯისტიკური გამოწვევაც.

„გრძელვადიან შესაძლებლობებზე უნდა ვიფიქროთ“

უკრაინის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ანდრეი ზაგოროდნიუკი მიიჩნევს, რომ შესაცვლელია უკრაინისათვის შეიარაღების მოწოდების პრაქტიკა:

– მიდგომა სისტემური უნდა იყოს. უნდა განიხილებოდეს არა ისე, თუ რომელი იარაღი უნდა მოგვაწოდონ, რომელია საჭირო დღეს ბრძოლის ველზე, არამედ ისე, თუ რა არის საჭირო გამარჯვებისათვის.

ანდრეი ზაგორიდნიუკი:

– თუ ვაპირებთ ძალების შექმნას, რომლებიც შეძლებენ რუსების დამარცხებას, უნდა ვიფიქროთ გრძელვადიან შესაძლებლობებზე და არა მარტო ამ კონტრშეტევაზე. ასეთ გეგმაზე უკრაინელებმა ამერიკის ადმინისტრაციასთან ლაპარაკი დაიწყეს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ. ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. უზარმაზარი მოლოდინი უკრაინულ კონტრშეტევასთან დაკავშირებით მავნეა. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ერთმა, თუნდაც წარმატებულმა კონტრშეტევამ, მთელი ომის ბედი გადაწყვიტოს.

უკრაინა არ გაჩერდება რომელიმე ნაწილის გათავისუფლების წინაშე. კიევში არ იტყვიან, რომ ყირიმის გათავისუფლება საჭირო არაა. ყირიმის საკითხი ეჭვებს აღძრავს ევროპასა და ამერიკაში. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ქვეყნის ამ ნაწილის გათავისუფლებას არ ვეცდებით, უკვე წავაგებთ.

„ბაიდენმა ხალხს უნდა აუხსნას, თუ რატომ წარმოადგენს უკრაინისადმი ამერიკის დახმარება აშშ-ის ინტერესს“

მკვლევარი **ანდრეა კენდელ-ტეილორი** აღნიშნავს, რომ პუტინს ხელს აძლევს ომის გაჭიანურება.

– ავტორიტარ ლიდერებს ომის საშუალებით შეუძლიათ უფრო დიდხანს დარჩნენ ხელისუფლებაში. პუტინის გათვლა იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთი დაიღლება უკრაინის მხარდაჭერით, – ამბობს მკვლევარი.

ჯორჯ ბუშის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, დევიდ კრამერი აშშ-ის პრეზიდენტს ურჩევს, ამერიკელ ხალხს უკრაინაზე განმარტებები მისცეს და დახმარების აუცილებლობაში დაარწმუნოს.

დევიდ კრამერი:

– ძალიან მინდა, რომ პრეზიდენტმა ბაიდენმა განუმარტოს ამერიკელ ხალხს, რატომ არის აშშ-ის ეროვნული კრიტიკული ინტერესისთვის მნიშვნელოვანი უკრაინისადმი დახმარება. მან ამაზე უნდა ილაპარაკოს. სხვა შემთხვევაში ის ველს უთმობს სკეპტიკოსებსა და რუსეთის აპოლოგეტებს.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „ბლუმბერგ მედიის“ აღმასრულებელ დირექტორს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „ბლუმბერგ მედიის“ აღმასრულებელ დირექტორს სკოტ ჰავენსს შეხვდა.

დოჰაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს მთავრობასა და „ბლუმბერგს“ შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის დინამიკა მიმოიხილეს. ირაკლი ღარიბაშვილმა და სკოტ ჰავენსმა ერთობლივად განხორციელებულ პროექტებზე იმსჯელეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს.

„ომი უკრაინის გამარჯვებით დამთავრდება, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი შეიძლება მარტივად მოხდეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

კისა თუ ევროკავშირის განცხადებები, ეს მათი ინტერესიდან გამომდინარეა. წარმოიდგინეთ, რამხელა ინტერესზეა ლაპარაკი.

– თუ საქართველოს მიმართ ამხელა ინტერესია, ევროკავშირსა და ნატოში რატომ არ გვღებულობენ? დაჩქარებული წესით მიგვიღონ. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსიც არ მოგვანიჭეს.

– ასე იოლი საქმე არ არის. ევროკავშირი სამართლებრივი გაერთიანებაა. კოპენჰაგენის კრიტერიუმები ჰქვია, რომლის საფუძველზე ხდება ევროკავშირში გაერთიანება. თე ის პრინციპები არ შესრულდა, რაც ევროკავშირს აქვს, არაფერი გამოვა. ერთი პრეცედენტიც რომ დაუშვან, მაშინ რიგში უდგათ სხვები.

– ევროკავშირის კრიტერიუმები, გვინდა თუ არა, შესრულდება.

– ამიტომ გვთხოვენ, რეკომენდაციები შევასრულოთ. ევროპის მწვანეთა პარტიის დამფუძნებლები და მმართველი საბჭოს წევრები ვართ. იქ უამრავ ადამიანს ვხვდებით, ევროსტრუქტურის წარმომადგენლებს, ხელისუფლების ყოფილ თუ მოქმედ წარმომადგენლებს. ითხოვენ, რომ ელემენტარული პირობები შესრულდეს. საშუალება მოგვეცით, რომ ნაბიჯი გადავდგათო.

– სომხეთმა განაცხადა, აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას ვაღიარებო. სომხეთი რამ აიძულა, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა ეღიარებინა და რას შეცვლის სომხეთის ეს გადაწყვეტილება?

– ფაშინიანმა განაცხადა, რომ მზადაა აღიაროს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა 1991 წლის საზღვრებში, ანუ ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენელ ნაწილად აღიაროს. ეს იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს შორის სიტუაცია დარეგულირდება და ეს შეიძლება გახდეს ალტერნატიული სატრანსპორტო დერეფანი ევროკავშირისთვის, აგრეთვე შუა აზიისა და აზერბაიჯანის გავლით.

– ამერიკის შუამავლობით აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის მოლაპარაკებები გაიმართა. ამის შედეგი ხომ არ არის ფაშინიანის განცხადება აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შესახებ?

– რა თქმა უნდა, ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ რუსეთი ამიერკავკასიის რეგიონში სტრატეგიულ პარტნიორებს კარგავს.

საქართველო იმდენად ბევრი ქვეყნის ინტერესის სფეროში მოექცა და იმდენად დიდადაა დამოკიდებული საქართველოს სტაბილურობაზე მათი ინტერესები, რომ ნურავინ იტყვის, ვინმეს საქართველოში ომი უნდა.

აშშ-ის, ევროკავშირის, შუა აზიის, ჩინეთის, თურქეთის ინტერესებია. ომის შემთხვევაში ყველაფერი განულდება. ახლა აშშ-ს, ნატოსა და ევროკავშირისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველო თავისი უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მოაქციოს.

– მაგას რა სჯობს, ჩვენც ეგ გვინდა.

– მთავარი ფორმულა ისაა, რომ ისინი ცდილობენ მთელი ამ რეგიონის, ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველო თავისი უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მოაქციონ, რომ აქ კაციშვილმა ვერაფერი ჩაიდინოს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც ამასთან არის დაკავშირებული.

თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, რაღაც საფრთხეები და ფეთქებადსაშიში ბომბები ყოველთვის იქნება. ამიტომ ეს არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური გზა.

– როგორ წარმოგიდგენიათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, როდესაც საქართველოს ოკუპირებულ ნაწილში რუსეთს ორი, ძალიან ძლიერი სამხედრო ბაზა აქვს?

– გეტყვით, როგორ მარტივად შეიძლება ეს მოხდეს. მას შემდეგ, რაც ომი უკრაინის გამარჯვებით დამთავრდება (რაც გარდაუვალია), რუსული ჯარი უკრაინას რომ დატოვებს, რუსეთი აბსოლუტურ იზოლაციაში აღმოჩნდება.

– ეკონომიკურ და პოლიტიკურ იზოლაციაში.

– დიახ, მაგრამ მთავარი მაინც ეკონომიკური იზოლაციაა, მოსახლეობა შიმშილით რომ არ დაეხოცოს. ამიტომ კრემლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესი იქნება სანქციების მოხსნა და ურთიერთობების აღდგენა, რომ მინიმალური სუნთქვის შესაძლებლობა მიეცეს. აქ საქართველოსთვის სერიოზული ბერკეტი ჩნდება.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სავაჭრო საკითხი გახდება დასავლეთსა და რუსეთს შორის. ეს არის კოზირი, რომელიც საქართველოს ხელში უჭირავს. ასეთი სქემა გათამაშდა 1999 წელს, როდესაც რუსებმა საქართველოდან ჯარი გაიყვანეს.

გიორგი გაჩეჩილაძე: „რაც პუტინმა ჩაიდინა 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ ტერიტორიების ოკუპაციით, 2014 წელს ყირიმის ანექსიით და ახლა უკრაინაში შეჭრით, რუსეთი, ფაქტობრივად, იზოლირებულ სახელმწიფოდ გადააქცია. უკრაინაში ომის წაგების შემდეგ, რუსეთი მთლიანად იზოლაციაში აღმოჩნდება.“

სამართალი

ე.წ. სუს-ის კრებსების საქმე – დაზარალებულების ადვოკატები საქმის მასალებზე წვდომას ითხოვენ

ადვოკატები მიხეილ რამიშვილი, მაია ზოიძე და გიორგი ფანცულაია, რომლებზეც ე.წ. სუს-ის კრებსების მიხედვით, ფარული მიყურადება ხორციელდებოდა, მოსმენების საქმის მასალებზე წვდომას ითხოვენ.

მიუხედავად იმისა, რომ მათ დაზარალებულის სტატუსი პროკურატურამ მიანიჭა, ადვოკატებს საქმის მასალების გაცნობის საშუალება მხოლოდ პროკურატურაში აქვთ, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ საქმე საკმაოდ მოცულობითია, უფლებადამცველები მასალების შესწავლას მხოლოდ პროკურატურაში ვერ ახერხებენ და ამიტომ საქმეზე შეუზღუდავ წვდომას ითხოვენ.

ადვოკატები ასევე შესაბამის უწყებებს საქმის ობიექტური გამოძიებისკენ მოუწოდებენ.

დაზარალებულს უფლება აქვს, მიეწოდოს სისხლის სამართლის საქმის მასალები. სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებული ვართ ამ შესაძლებლობას, პროკურატურა საშუალებას გვაძლევს, ადგილზე გავეცნოთ ამხელა მასალას, მაგრამ უარს გვეუბნება თვითონ მასალების გადმოცემასთან დაკავშირებით. კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც ჩემთვის ცნობილია, დღემდე არაა გამოკვეთილი.

სოციალურ ქსელში დაწყებული უთანხმოების გამო ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2002 წელს დაბადებული გ.ი., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.



უწყების ინფორმაციით, დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 22 მაისს, ბრალდებული და 2003 წელს დაბადებულ შ.ქ. სოციალურ ქსელში დაწყებული უთანხმოების გარკვევის მიზნით, ერთმანეთს შეხვდნენ.

ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, გ.ი.-მ, ცივი იარაღით დაჭრა ახალგაზრდა მამაკაცი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა სამ პირს, რომელთაც მარაბდაში ავტომანქანის დაუფლების მიზნით ტაქსის მძღოლს თავის არეში დაზიანებები მიაყენეს

პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა სამ პირს, რომელთაც მარაბდაში ავტომანქანის დაუფლების მიზნით ტაქსის მძღოლს თავის არეში დაზიანებები მიაყენეს, ე.წ. ტროსით მოახრჩეს და დამარხეს.

საქართველოს პროკურატურამ მარნეულში, ტაქსის მძღოლის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სამ პირს ბრალი წარუდგინა.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, სამმა ბრალდებულმა, მათ შორის ერთმა არასრულწლოვანმა, ტაქსის მძღოლს თავის არეში მრავლობითი დაზიანებები მიაყენა, ე.წ. ტროსით მოახრჩო და კვალის დაფარვის მიზნით ცხედარი მიმდებარე ტერიტორიაზე დამარხა.

საქართველოს პროკურატურამ მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე სამ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 20 მაისს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდაში, სამმა ბრალდებულმა, მათ შორის ერთმა არასრულწლოვანმა, ავტომანქანის დაუფლების მიზნით, ტაქსის მძღოლს თავის არეში მრავლობითი დაზიანებები მიაყენა და ე.წ. ტროსით მოახრჩო. ბრალდებულებმა, კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარი ავტომანქანის საბარგულში მოათავსეს და მიმდებარე ტერიტორიაზე, ორმოში დამარხეს, რის შემდეგაც მოკლულის ავტომობილს დაეუფლნენ და მისი ნაწილებად დაშლა დაიწყეს.

სამართალდამცველებმა ორი პირი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი, 22 მაისს დააკავეს, ხოლო მესამე პირის მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი დადგენილება ბრალდების შესახებ. სამივე პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი, ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით და ანგარებით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა, ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

„ჟგუტით მოახრჩეს“ — ტაქსის მძღოლის მკვლელობის ახალი დეტალები

მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით – პოლიცია 54 წლის შოთა ლორიას განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ კიდევ ერთ პირს მთელი ქვეყნის მასშტაბით ეძებს.

ამის პარალელურად კი „პირველებისთვის“ დამატებითი დეტალები ხდება ცნობილი – წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამი პირისგან შემდგარი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ტაქსის მძღოლი ე.წ. ჟგუტით მოახრჩეს.

ირკვევა, რომ მანქანის დაუფლების მიზნით, ჯგუფი წინასწარ არჩევდა მაღალი კლასის ავტომობილს ქალაქში, რომელსაც მოტყუებით მარაბდის მიმართულებით წაიყვანდა და გაიტაცებდა.

შოთა ლორიას მკვლელობას რაც შეეხება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ „პირველების“ მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა – უწყება წერს, რომ კაცს ავტომობილი გააჩერებინეს, შემდეგაც მოკლეს, კვალის დაფარვის მიზნით კი მოკლული მამაკაცის ცხედარი ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში, ერთ-ერთი მდინარის ნაპირზე დამარხეს.

ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ სასტიკი მკვლელობის შემდეგ, ბრალდებულებმა ავტომობილი გაყიდეს.

უმძიმესი დანაშაულისთვის პოლიციამ 18 და 22 წლის მამაკაცები დააკავა. მათ ბრალს, სავარაუდოდ, დღეს წარუდგენენ. არ არის გამორიცხული, რომ სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებაზე დღესვე იმსჯელოს.

დაკავებულებს გამოძიება ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობას ედავება. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ სოფელ ვაზისუბანში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურის პრესსამსახური ავრცელებს.

მათი ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 21 მაისს, სოფელ ვაზისუბანში, ბრალდებული და დაზარალებული წარსულში მომხდარი კონფლიქტის გამო, ერთმანეთს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რის შემდეგაც ბრალდებულმა შურისძიების მოტივით, დაზარალებულს სანადირო თოფიდან რამდენჯერმე ესროლა. მიყენებული ცეცხლნასროლი დაზიანებების შედეგად, ეს უკანასკნელი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ათიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე თელავის რაიონულ სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

საზოგადოება

22 მილიონი დოლარის ოქროს გამტაცებლებმა მიმალვა მოახერხეს

კანადაში პოლიციამ ვერ მოახერხა ცხელ კვალზე მიეგნო და დაეკავებინა ტორონტოს აეროპორტიდან ოქროს ტვირთის გამტაცებლები.

როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა იუწყება, დამნაშავეებმა ისე მოახერხეს მიმალვა, რომ არანაირი მტკიცებულება არ დაუტოვებიათ. დანაშაულის ჩადენიდან ერთი თვის თავზე პოლიციას საქმესთან დაკავშირებით რაიმე ახალი ამბავი არ გაუვრცელებია და არც ბოროტმოქმედების ძებნის შედეგები გამოუქვეყნებია.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 17 აპრილს ლესტერ ბ. პირსონის სახელობის საერთაშორისო აეროპორტიდან დაახლოებით 15 მილიონი დოლარის ოქროს ზოდები, ასევე ბანკნოტები და სხვა ფასეულობები გაიტაცეს, რომელთა ღირებულება შვიდ მილიონ დოლარს შეადგენდა. გამტაცებლებმა ამის გაკეთება მანამდე მოასწრეს, სანამ ძვირფას ტვირთს უფრო უსაფრთხო ადგილზე გადაიტანდნენ და კვალიც საგულდაგულოდ წაშალეს. პოლიციელებმა რაიმე ხელშესახები მტკიცებულება ვერ აღმოაჩინეს და ამით გამოძიება მის საწყის ეტაპზე ვე ჩავარდა.

აღნიშნული დანაშაულის გამომძიებლის, ინსპექტორ სტივენ დიუივესტაინის თქმით, ოქრო თვითმფრინავიდან მისი ჩამოტვირთვისთანავე გაუჩინარდა. ახლა უკვე დანამდვილებითაა ცნობილი, რომ კომპანია ეირ კანადის თვითმფრინავი ტორონტოში შვეიცარიის ქალაქ ციურიხიდან ჩაფრინდა, ხოლო ძვირფასი ტვირთი კანადის უმსხვილესი ბანკის ერთ-ერთი განყოფილებისთვის იყო განკუთვნილი.

სპეციალისტები მიიჩნევენ, თუ ოქროს კანადის ტერიტორია არ დაუტოვებია, მაშინ ბოროტმოქმედების დაკავების შანსი მაღალია, მაგრამ თუ ოქრო საზღვაო გზით დუბაიში ან მუმბაიში გადაიტანეს, მაშინ მათ კვალზე გასვლა გაცილებით გაძნელდება. აღსანიშნავია, რომ ბოროტმოქმედებს ოქროს გასაყიდად მისი გადადნობა მოუწევთ, რათა ამით მათი მარკირება თავიდან მოიშორონ.

პრეზიდენტმა 13 მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა 13 მსჯავრდებული შეიწყალა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, 9 მსჯავრდებული სრულად გათავისუფლდა პენიტენციურ დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან და პენიტენციურ დაწესებულებას დღესვე დატოვებს, ხოლო 4 მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ვადა შეუმცირდა.

შეწყალებულთა შორის 4 მსჯავრდებული ქალია.

ვინ არის მამაკაცი, რომელმაც ტაილანდელი ქალები საქართველოში ჩამოიყვანა

ტრეფიკინგის სკანდალი საქართველოში – დაკავებულია პირი, რომელიც ტაილანდის მოქალაქე ქალებს ბათუმის სალონში დასაქმებასა და თვეში 10 ათასლარიან ანაზღაურებას ჰპირდებოდა, რეალურად კი ისინი ზესტაფონში გამოკეტა, რამდენიმე თვის განმავლობაში კლიენტებისთვის სექსუალური მომსახურების განევას აიძულებდა, მიღებულ თანხას კი თავად ითვისებდა.

ბრალდებული საქართველოში ჩამოსულ ტაილანდელებს კლიენტებისთვის სექსუალურ მომსახურებას საკუთარ საცხოვრებელში აიძულებდა, რომ არ გაქცეულიყვნენ, სახლს თავად დარაჯობდა. ტრეფიკინგის მსხვერპლ ტაილანდელებს კი პასპორტები და მობილური ტელეფონები წაართვა. ახლა ყველა ეს ნივთი საქმეში დაკავებულის წინაალმდეგ ნივთმტკიცებად დევს. გამოძიების ხელშია ასევე მსხვერპლი ქალების ჩვენებები, რომლებიც უმძიმეს ამბებს ჰყვებიან.

ნაპოვნია ცხედარი მდინარე ცხენისწყალში

„გურია ნიუსის“ ინფორმაციით, ცაგერთან ცხენისწყალში დაკარგული ახალგაზრდის ცხედარი იპოვეს. მათივე ცნობით, ლენტეხში გაუჩინარებულ 34 წლის ახალგაზრდას ორი დღის განმავლობაში ეძებდნენ. ჯერჯერობით სხვა დეტალები უცნობია.

მამაკაცს, რომელიც უსახლკაროს 13 წელი ეხმარებოდა, სასამართლოში უჩივლეს

ჩინეთის პროვინცია ხუბეის მკვიდრს, რომელიც 13 წლის განმავლობაში უსახლკაროს ეხმარებოდა, სასამართლოს წინაშე მოუწია წარდგომა შრომითი ექსპლუატაციის ბრალდებით.

მამაკაცმა, სახელად გუმ, შეიფარა ყმაწვილი, სახელად ჩენი, რომელიც სახლიდან იყო გამოქცეული. ის მას უზრუნველყოფდა საცხოვრებლით და საკვებით. მისთვის ოთახი მოაწყო საკუთარი სახლის მესამე სართულზე, ასევე, ეხმარებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვინაიდან ის ყრუ-მუნჯი იყო.

2018 წელს ჩენის ძმამ გუს მის ექსპლოატირებაში დასდო ბრალი. მისი თქმით, ის გუს მეურნეობაში იყო დასაქმებული, სახლს აღაგებდა და საჭმელს ამზადებდა. მან მამაკაცის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და კომპენსაციის სახით 130 ათასი იუანი მოითხოვა მისი ძმის აუნაზღაურებელი მუშაობისთვის.

სასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დახმარება, რომელსაც გუ უწევდა ჩენის, ქველმოქმედების ხასიათს ატარებდა და რომ უსახლკაროსთვის პირადული ან ქონებრივი ზარალი არ მიუყენებია. ასე რომ, ჩენის ძმას მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნარკოკურიერს ნარკოტიკები უკანალით გადაჰქონდა



დიდ ბრიტანეთში პოლიციელებმა მატარებელში დააკავეს ნარკოკურიერი, რომელსაც საკუთარ უკანალში 140 შეკვრა კოკაინი და ჰეროინი ჰქონდა დამალული.

21 წლის ზაკა მაკდონალდი უელსში მატარებელში მას შემდეგ დააკავეს, როდესაც პოლიციამ დაადგინა, რომ აბონენტი მისი ნომრით დასავლეთ უელსსა და ბირმინგემს შორის თვეში შვიდჯერ მგზავრობდა. სასამართლოში პროკურორმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში აბერისტუიტის პოლიციამ ნარკოტიკების გასაღების ხაზის შესახებ შეიტყო, რომელიც კეინის ხაზის სახელით იყო ცნობილი.

მაკდონალდის ნომერი ქალაქებს შორის მატარებლით იანვრიდან მარტის ჩათვლით მგზავრობდა და ზღვისპირა ქალაქ აბერისტუიტში რამდენიმე დღე რჩებოდა, სანამ უკან ბირმინგემში გაემგზავრებოდა. პოლიციამ მისი დაკავების ოპერაცია დაგეგმა.

უელსიდან მორიგი მგზავრობის დროს, პოლიციელებმა ნომრის მფლობელი მატარებელში იპოვეს. მამაკაცს ჩატარებული ჩხრეკის დროს უპოვეს ტელეფონი სასურველი სიმბარათით, ცოტა ნაღდი ფული, უკან დასაბრუნებელი ბილეთი და რამდენიმე გრამი მარიხუანა. სამართალდამცავებს მამაკაცთან მიმართებაში ეჭვი გაუჩნდათ და ის კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე გასაშუქებლად საავადმყოფოში გადაიყვანეს. მამაკაცმა ამ პროცედურის გავლაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ამის მიუხედავად, რამდენიმე საათის შემდეგ, ნაწლავების ბუნებრივი მოქმედების შედეგად, მამაკაცს მაინც მოუწია უკანალის გასასვლელში დამალულ ორ შეკვრასთან გამომშვიდობება. მათ შიგნით კი ექიმებმა და პოლიციელებმა 68 შეკვრა ჰეროინი და 70 შეკვრა კოკაინი აღმოაჩინეს. ნაპოვნი ნარკოტიკების საერთო ღირებულებამ 2,7 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

სასამართლოში პროკურორმა განაცხადა, რომ თუ ეს მგზავრობა ადრინდელებისგან არაფრით განსხვავდებოდა, მაშინ ამ დროის განმავლობაში მის მიერ გადაზიდული ნარკოტიკების საერთო ღირებულება შესაძლოა 22 ათას ფუნტ სტერლინგად შეფასდეს. მაკდონალდმა ნარკოტიკების შენახვა, გადაზიდვასა და გასაღებაში, ასევე, ნარკოტიკების გასაღების ხაზის ორგანიზებაში თავი დამნაშავედ ცნო.

მამაკაცს 28 თვით პატიმრობა მიესაჯა. მას 3,5 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა, მაგრამ დანაშაულის აღიარებისა და გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო სასჯელი შეუმსუბუქდა.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის მიერ უკრაინის გენოციდი აღიარა

უკრაინა ნატოსაკენ მიისწრაფის. ეს პრეზიდენტ კუჩმას მმართველობის უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა. ამას მოჰყვა მოსკოვის პროვოკაციები, რომელთა პიკიც ე.წ. „საკასეტო სკანდალი" იყო. რუსეთის მიზანი კიევის ევროატლანტიკური მისწრაფებების შეზღუდვა, უკრაინაში სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივება და უკრაინის დაყოფა იყო. როგორც ცნობილია, კრემლმა ამ მიზნებიდან ვერც ერთის მიღწევა ვერ შეძლო. საბოლოოდ ყველაფერი ნარინჯისფერი რევოლუციითა და ხელისუფლებაში ვიქტორ იუშჩენკოს მოსვლით დამთავრდა.

უკრაინის ახალი პრეზიდენტი უდავოდ პატრიოტი, მაგრამ სუსტი პიროვნება აღმოჩნდა. მოსკოვმაც ამით ისარგებლა და ხელისუფლებაში თავისი აგენტის, წარსულში ნასამართლევი იანუკოვიჩის მოსვლას მიაღწია. პრორუსული რევანშის საფრთხე აშკარა გახდა. გადამწყვეტი სიტყვა მისმა უდიდებულესობამ უკრაინელმა ხალხმა თქვა. ის ქუჩაში გამოვიდა და კრემლის აგენტი დაამხო. ამრიგად, პრო-ნატოური მისწრაფებები კვლავ წინა პლანზე წამოვიდა.

უკრაინის საგარეო კურსმა დასავლეთის რიგი გავლენიანი ძალა დააფრთხო. გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ და უნგრეთმა უკრაინის ნატოში გაწევრიანებას ხელი შეუშალეს. ამან მოსკოვის მხრივ ყირიმის ანექსია და ე.წ. „ჰიბრიდული ომი" გამოიწვია. რუსეთი იმედოვნებდა, რომ ამით უკრაინის ევროატლანტიკურ კურსს დაბლოკავდა (პროგრამა მაქსიმუმი). პროგრამა მინიმუმი კი უკრაინის დაშლა და მის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა იყო. ეს ე.წ. „ქვეყნები" უნდა გამხდარიყვნენ ბუფერი პროევროპულ უკრაინასა და რუსეთს შორის. ეს ჩაიშალა.

მაშინ პუტინმა უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო, რამაც საერთაშორისო ვითარება ძირეულად შეცვალა. ამისი დასტურია ლუქსემბურგში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა. მას საქართველოს დელეგაციაც დაესწრო.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო დადგენილება რუსეთის მიერ უკრაინელთა გენოციდის აღიარების შესახებ. ამის თაობაზე იუწყება ნატოში უკრაინის წარმომადგენელი იგორ ჩერნიაევი. ასამბლეამ დაგმო რაშიზმის იდეოლოგია. ამას გარდა მიღებულ იქნა დადგენილება უკრაინისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ როგორც ომის მსვლელობისას, ისე ომის შემდეგ.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ ვილნიუსის სამიტს მოუწოდა, რომ გადადგას კონკრეტული ნაბიჯები უკრაინის ნატოში მიღების თაობაზე. სამიტმა უნდა განსაზღვროს უკრაინის ალიანსში მიღების კონკრეტული ვადა, დაასახელოს ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც აუცილებელია საამისოდ.

ამრიგად, ნატოს ვილნიუსის სამიტის წინ, უკრაინის ნატოში მისაღებად სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა. ახლა გადამწყვეტი სიტყვა სწორედ სამიტმა უნდა თქვას.

პრეზიდენტი ბაიდენი აშშ-ის კონგრესის სპიკერს შეხვდა

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი კონგრესის სპიკერს და რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერ მაკარტის შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა აშშ-ის სახელმწიფო ვალი იყო.

მიუხედავად პრეზიდენტის ოპტიმისტური ტონისა, დემოკრატებისა და რესპუბლიკელების შეთანხმება ვერ მოხერხდა.

– სახელმწიფო ვალის საკითხზე დემოკრატები და რესპუბლიკელები ვერ შეთანხმდნენ, – იტყობინება „ამერიკის ხმა".

რა მოხდა ბელგოროდში?!

ბელგოროდის ოლქში (რუსეთი) ვითარება დაიძაბა. რუსული მედიის ცნობით, ოლქის ტერიტორიაზე თითქოს უკრაინული დივერსიული ჯგუფი შეიჭრა. ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

თავისუფალი რუსეთის ლეგიონი იბრძვის პუტინის დიქტატურისაგან სამშობლოს გასათავისუფლებლად. მეამბოხეები ბელგოროდის ოლქის სიღრმეში მიიწევენ. მათ წინააღმდეგ კრემლმა სპეცნაზები და რეგულარული არმიის ნაწილები გადაისროლა, პასუხად ბელგოროდში აფეთქებათა მთელი სერია გაისმა. აფეთქდა ფსბ-ს ბელგოროდის სამმართველოს შენობაც ბრძოლები გრძელდება. მათში ჩართულია რუსეთის არმია, სპეცნაზი, ავიაცია, ტანკები და ა.შ.

ბახმუტისათვის ბრძოლები არ ცხრება

ბახმუტისათვის ბრძოლები გრძელდება. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, უკრაინული არმია ბახმუტში რჩება. გრძელდება ბრძოლები ფლანგებზე.

თანახმად „აპოსტროფ ტივის" ინფორმაციისა, უკრაინული არმია განაგრძობს ბახმუტის ალყაში მოქცევას. ქალაქს სისტემატიურად უშენენ ქვემეხებს. ბახმუტი ცეცხლშია გახვეული.

მიუხედავად ამისა, უკრაინული არმია ბახმუტში რჩება და მის ნაწილს აკონტროლებს. ეს თვით პრიგოჟინმაც აღიარა.

ბახმუტი, ისევე, როგორც მარინკა, ბრძოლების მთავარ ეპიცენტრად რჩება.

უკრაინა-რუსეთის ფრონტზე ცვლილებები არ მომხდარა. ეს თანაბრად შეეხება როგორც დონბასს, ისე უკრაინის სამხრეთ რეგიონს.

ვითარება უცვლელია დონბასში, კერძოდ, მის ყველაზე ცხელ წერტილებში ავდეევკასა და მარინკაში. ჩაიშალა რუსი ოკუპანტების მცდელობა, კონტროლი დაემყარებინათ ხსენებულ დასახლებულ პუნქტებზე. რაც შეეხება შახტარსკის ან უგლედარის მიმართულებას, აქ რუსები არ ახორციელებდნენ სახმელეთო შეტევით ოპერაციებს. ოკუპანტები ძირითადად ამ ქალაქების დაბომბვით შემოიფარგლნენ.

ასევე უცვლელია მდგომარეობა, უკრაინის სამხრეთში. რუსებმა კვლავ დაარტყეს ზაპოროჟიეს, ხერსონს, აგრეთვე აღმოსავლეთ უკრაინის ქალაქებს დნეპრს და ხარკოვს. შედეგად დაინგრა სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

რუსეთი უკრაინის დაბომბვას კვლავაც ცდილობს

გასულ ღამეს რუსეთმა უკრაინის დაბომბვა კვლავ სცადა. თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, მტერმა უკრაინის მიმართულებით 20-მდე რაკეტა გაუშვა. უმეტესობა მათგანი უკრაინელებმა ჩამოაგდეს. ასევე ჩამოგდებულ იქნა ყველა დრონი.

უკრაინამ სიმონ პეტლიურას დაბადების დღე აღნიშნა

24 მაისს უკრაინამ ეროვნული გმირის სიმონ პეტლიურას (1877-1926) დაბადების დღე აღნიშნა. პეტლიურა 1918-26 წლებში უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ედგა სათავეში.

პეტლიურა რევოლუციამდე ცნობილი იყო, როგორც პუბლიცისტი და უკრაინული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე. ცარიზმის დამხობის შემდეგ ის გახდა უკრაინის ცენტრალური რადის ერთ-ერთი დამაარსებელი და სამხედრო საქმეთა გენერალური მდივანი (მინისტრი). სწორედ მისი მეთაურობით დაამხეს ჰეტმანი სკოროპადსკი (1918 წ.).

უკრაინაში რუსული წითელი არმიის შეჭრის შემდეგ პეტლიურა სათავეში ჩაუდგა ბრძოლას რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ. ის განაგრძობდა ბრძოლას ემიგრაციაშიც, აგზავნიდა რა უკრაინაში თავის ემისრებს, აწყობდა პარტიზანულ რეიდებს და ა.შ.

1926 წელს პარიზში საბჭოთა აგენტმა შვარცბარდმა ვერაგულად მოკლა პეტლიურა.

დღეს უკრაინელმა ხალხმა პეტლიურას ძეგლი აუგო. პეტლიურაზე დაწერილია არაერთი მონოგრაფია, გადაღებულია მრავალი ფილმი. კიევში, ვინიცაში თუ სხვა ქალაქებში პეტლიურას სახელობის ქუჩებია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

გიორგი მამარდაშვილი: „ფეხბურთში რასიზმის ადგილი არ არის, მე გუნდელს ვიცავდი"

ესპანური ვალენსიას ქართველმა მეკარემ საგანგებო განცხადებით მადრიდის რეალის ბრაზილიელ ლეგიონერ ვინისიუს ჯუნიორს მიმართა, რომლის გარშემოც ბოლო დღეებია დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, მიზეზი კი, რასისტული შეურაცხყოფაა.

„ყველა ადამიანი არის თანასწორი. ეს ჩემთვის ცხოვრების ყველაზე მთავარი და პირველი წესია, რომელიც მე არასდროს დამირღვევია. ვინისიუს, პატივისცემა ჩემგან და შენს გვერდით ვარ, იმ მომენტში კი მხოლოდ თანაგუნდელის დაცვას და მხარდაჭერას ვცდილობდი, სხვა რაიმე განზრახვა არ მქონია. ფეხბურთში რასიზმის ადგილი არ არის და ამას ყველა და ერთად უნდა ვებრძოლოთ" – დაწერა მამარდაშვილმა.

გეტყვით, რომ ლა ლიგის გასულ ტურში ვალენსიასა და რეალის მატჩისას ვალენსიელი ქომაგები ვინისიუსს რასისტულ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

მატჩის ბოლოს ერთმანეთში უკვე ფეხბურთელები წაკამათდნენ და ინციდენტში მამარდაშვილიც მონაწილეობდა, რომელიც ვინისიუსს მივარდა და მასთან ურთიერთობის გარკვევას ცდილობდა. ყველაფერი ბრაზილიელი ვარსკვლავის გაძევებით დასრულდა, რომელმაც შეხლა-შემოხლისას ვალენსიელ უგო დუროს სახეში ხელი ჩაარტყა.

მომხდარის შემდეგ, რეალის ზოგიერთმა ქომაგმა რასისტულ შეურაცხყოფაში მამარდაშვილიც დაადანაშაულა. ქართველმა მეკარემ მალევე გაავრცელა სოციალურ ქსელში მიმართვა „არა რასიზმს", შემდეგ კი ეს განცხადებაც დადო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

იუვენტუსს ქულები ისევ დააკლეს

ტურინის იუვენტუსი წელს ბევრი აწვალეს და ბოლოს ქულები მაინც დააკლეს. „ბებერი ქალბატონი" ამ სეზონს 10 ქულით ჩაამთავრებს. შედეგად, იუვენტუსს 59 ქულა აქვს და სერია A-ში მე-7 პოზიციაზე დაქვეითდა. იტალიის ფედერალური სააპელაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ტურინული გუნდი ევროთასების მიღმაა.

შეგახსენებთ, რომ თავდაპირველი განაჩენით იუვენტუსს 15 ქულა დააკლეს, მაგრამ იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ეს გადაწყვეტილება გააუქმა. თუმცა, საქმე ხელახლა გამოკვლევას გადასცა.

ხელახალი განხილვა დღეს გაიმართა. პროკურორმა 11 ქულის დაკლება და პაველ ნედვედის ფეხბურთიდან 8 თვით მოკვეთა მოითხოვა. დახურულ კარს მიღმა გამართული სხდომის შემდეგ სასამართლომ მხოლოდ პირველი ნაწილი დააკმაყოფილა.

თუმცა, იუვენტუსის საქმე ასე მარტივადაც არ არის – კლუბის მიმართ სხვა საქმის გამოძიებაც მიმდინარეობს და, შესაძლოა, ქულები შემდეგ სეზონშიც დააკლონ.

რუსთაველის თეატრმა უნიკალური ექსპონატები გამოფინა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

„ანზორ", „ყაჩაღები" ფრაგმენტების ვიდეოჩანაწერები, რუსთაველის თეატრის გასტროლები ლონდონში, მიმდინარე რეპერტუარის ვიდეომასალა.

მუზეუმში დაცულია კოსტუმები სპექტაკლებისა: „ოტელო", „ოიდიპოს მეფე", „ხანუმა" „რიჩარდ III", „კავკასიური ცარცის წრე", სუმბათაშვილ-იუჟინის უნიკალური თეატრალური სამოსი.

სარეკლამო განყოფილებაში – აფიშები, პლაკატები და პროგრამები XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. საცნობარო განყოფილება-კატალოგში რეპერტუარი, გასტროლები, რეჟისორთა, მსახიობთა და მხატვართა დატვირთვა, წიგნადი ფონდის ანბანური კატალოგი. ბიბლიოთეკა მდიდარი და მრავალფეროვანია. ფონდში დაცულია 4.000-მდე თანამედროვე და რარიტეტული გამოცემა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე – თეატრის, კინოს, მუსიკის, ხელოვნების, ისტორიის და რელიგიის შესახებ. ბიბლიოთეკაში ინახება 1500-ზე მეტი პიესა, მხატვრული ლიტერატურა – ჰაუპტმანის, ჰეინეს, გოეთეს, შილერის, შექსპირის, მეტერლინკის, მოლიერის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები. ფონდში დაცულია კერძო ბიბლიოთეკების გარკვეული ნაწილი ალექსანდრე ახმეტელის, აკაკი ხორავას და სხვათა ავტოგრაფებით.

მუზეუმის ბიბლიოთეკაში მრავლადაა რარიტეტული გამოცემები: ივანე ბატონიშვილის „კალმასობა", „ვისრამიანი" ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე სარაჯიშვილისა და პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი". რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" გამოცემული ქართველიშვილის მიერ 1888 წელს. ლაკრუას „ჩვევები და კოსტუმები" ფრანგულ ენაზე, დიუერის „საფრანგეთის ისტორია" ფრანგულ ენაზე, გრაული „XVIII ს-ის დეკორი და ავეჯი" გერმანულ ენაზე, ჟურნალ-გაზეთები: „ივერია", „ნიშადური"...

ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური წიგნები, ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ქართული თეატრის ისტორიის კვლევისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა. ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება. ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 599 25 44 14. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა. ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ახალი სტადიონები საქართველოს

21 ივნისს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი დაიწყება. ერთ-ერთი მასპინძელი საქართველოა, რომელიც ორგანიზებას რუმინეთთან ერთად გაუწევს.

უეფას 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ინფრასტრუქტურულ ობიექტს: თბილისის მიხეილ მესხისა და ბორის პაიჭაძის სტადიონებს, დავით პეტრიაშვილი არენას, ტექნიკურ ცენტრ ბასას, ქუთაისის შენგელია არენას და სავარჯიშო მოედნებს წყალტუბოში, ქობულეთსა და ბათუმში.

სტადიონების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად საქართველოს მთავრობამ 100 მილიონი ლარი გამოყო. საქმე კი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეასრულა. სამუშაოები უეფას ჩართულობითა და მონიტორინგით მიმდინარეობდა.

უეფას 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატისათვის თბილისში არსებული ინფრასტრუქტურული პროექტები საქართველოს ფეხბურთს ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ, სფფ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა კახა ჭუმბურიძემ, ტექნიკურმა დირექტორმა ზაზა ზამთარაძემ, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ იოსებ ბაღათურიამ დაათვალიერეს.

ლევან კობიაშვილი:

– უეფას 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატი ჩვენ ქვეყანაში ტარდება, რაც ძალიან დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა არა მხოლოდ სპორტული, არამედ ინფრასტრუქტურული კუთხით. გაკეთდა მიხეილ მესხის სტადიონი, დინამო არენა, შენგელია არენა და სავარჯიშო ცენტრები სხვა ქალაქებში. ეს არის ძალიან დიდი შენაძენი, რისთვისაც მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩართული იყო და მოგვცა საშუალება თამამად ვთქვათ, რომ ქვეყანაში უეფას ყველაზე მაღალი სტანდარტის, მეოთხე კატეგორიის ოთხი სტადიონი გვაქვს. ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა და ამაყი ვარ, რომ ერთობლივად ვუმასპინძლებთ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საფეხბურთო ტურნირს.



ირაკლი ქარსელაძე:

– ქვეყანას საერთაშორისო სტანდარტის, უეფას უმაღლესი კატეგორიის სტადიონები შეემატა. მათგან სამი, თბილისსა და ქუთაისში, არის ოფიციალური მატჩებისთვის. აშენდა 7 ტექნიკური კომპლექსიც. აბსოლუტურად ყველა სტადიონი აღჭურვილია უეფას სტანდარტის ბალახის საფარით და შესაბამისი სარწყავი და სადრენაჟე სისტემით.

მნიშვნელოვანი სამუშაოა გაწეული მესხის სახელობის სტადიონზე. ეს რეალურად იყო კაპიტალური რეაბილიტაცია, რომელიც, მთელ რიგ ასპექტებში, მშენებლობას უტოლდება. ფაქტობრივად, თავიდან მოეწყო ყველა საინჟინრო სისტემა – გაგრილების, გათბობის, წყალმომარაგების, წყალარინების და უსაფრთხოების სისტემები. სტადიონი აღჭურვილია აბსოლუტურად ყველა აუცილებელი სივრცით. სპორტსმენებს, ჟურნალისტებს და მატჩის მსვლელობაში, გაშუქებაში თუ მომსახურებაში ჩართულ ადამიანებს შექმნილი ექნებათ იდეალური პირობა მუშაობისთვის. სამუშაოების 95% შესრულებულია, დარჩენილია წვრილმანი, მოსაპირკეთებელი და ტესტირების სამუშაოები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღირსეული ინფრასტრუქტურა [illegible] ლოდ უეფას 21-წლამდეულოების ჩემპიონატს, არამედ შემდგომში, სტადიონები ნებისმიერი დონის ტურნირებს უმასპინძლებენ.

იოსებ ბაღათურია:

– სპორტის სამინისტრო მაქსიმალურად ეფექტურად თანამშრომლობდა ყველა უწყებასთან, რომელიც ჩართული იყო ევროპის 21-წლამდე ჩემპიონატის მოსამზადებელ სამუშაოებში. მაქსიმალურად ხელს ვუწყობდით ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომ მასშტაბური სამუშაოები უმოკლეს ვადაში დასრულებულიყო. სხვანაირად ვერც მოხდებოდა, რადგან ყველა უწყება მობილიზებულია, რომ საქართველომ ღირსეულად უმასპინძლოს ამ ტურნირს.

21-წლამდე ევროპის ჩემპიონატი 21 ივნისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება. საქართველო 2 ჯგუფს, ფლეი ოფის მატჩებსა და ფინალს (ბათუმი) უმასპინძლებს.

შავი ლომის ახალი პერსპექტივა

ირლანდიაში, ევროპის პროფესიული კლუბების რაგბის მოლაპარაკების მორიგ რაუნდზე საქართველოს რაგბის კავშირის ადმინისტრაციიდან იყვნენ მიწვეულნი, სადაც ქართული რაგბისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა.

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ შავი ლომი პრესტიჟულ ევროპულ ტურნირში, ჩელენჯ ქაფზე ითამაშებს.

იოსებ ტყემალაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

– უელსისა და იტალიის ნაკრებებზე ჩვენი ბორჯღალოსნების ისტორიული გამარჯვებების შემდეგ, ქართული რაგბი გარე სამყაროს დაკვირვების ქვეშ მოექცა. სწავლობენ, რამდენი ქომაგი გვყავს, ვინ არიან ჩვენი სახელმოხვეჭილი მორაგბეები, როგორია მათი წონა, გავლენა, როგორია სამთავრობო მხარდაჭერა და უამრავ სხვა ნიუანსს. ჩემი შეფასებით, ყველა პარამეტრით ქართული რაგბი მსოფლიო ასპარეზზე უკვე შესამჩნევი და ანგარიშგასაწევი მოთამაშეა. ეს კი, კარს, როგორც უმაღლესი დონის ტურნირებისკენ, ასევე სასპონსორო ბიუჯეტებისკენ გაგვიღებს. ამჟამად ქართულ რაგბის თითქმის მთლიანად მთავრობა აფინანსებს, ვფიქრობ, 2-3 წელიწადში შევძლებთ ეს ტვირთი ბიუჯეტს 30-40%-ით შევუმსუბუქოთ და 15-20 მილიონიანი სასპონსორო დაფინანსება მოვიზიდოთ.

თუმცა განუზომლად მეტია ეფექტი, რომელსაც ეს განვითარება ქვეყნის ეკონომიკას მოუტანს, ტურიზმის გენერირებისა და ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვების პოტენციალის რეალიზებით. რაგბის მსოფლიო აუდიტორია დაახლოებით 1.1 მილიარდი ადამიანია, – უზარმაზარი სამომხმარებლო ბაზარი, რომელზე წვდომასაც მორაგბეების საშუალებით იღებს ბიზნესი.

ჩემი სურვილია, რომ ეს შესაძლებლობა უპირველესად ქართულმა წარმოებამ გამოიყენოს, ამიტომ მაქსიმალურად გვერდში ვუდგავართ ადგილობრივი ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი საკვების, პურის, ხილის წვენების თუ ლორის მწარმოებლებს; ამიტომ მოვაწერეთ ხელი მემორანდუმს ღვინის სააგენტოსთან, რომ ქართული ღვინის კომპანიებს რაგბის წარმატების საშუალებით დამატებითი ბიძგი მივცეთ მსოფლიო ბაზარზე.

რას მოუტანს ქართულ რაგბის ჩელენჯ თასში ჩართვა? – პასუხისთვის შორს წასვლა საჭირო არ არის, 19 და 20 მაისს დუბლინმა ჩელენჯ თასისა და ჩემპიონთა თასის ფინალების მასპინძლობით 50 მილიონი ევროს შემოსავალი მიიღო. 52.000-იანი „ავივა სთედიუმი" გადაჭედილი იყო. თითოეული ვიზიტორის საშუალო დღიურმა დანახარჯმა საკვებსა და სუვენირებზე 176 ევრო შეადგინა, რასაც სასტუმროს ხარჯებიც დაემატა, სადაც მათ საშუალოდ 2-2.5 დღე დაჰყვეს. შესაბამისად, ჩელენჯ თასზე მოხვედრით ერთი, რომ ქართველი გულშემატკივარი უმაღლესი რანგის კლუბებთან თავისი გუნდის შერკინებით მიიღებს სიამოვნებას, და, მეორე – ქართული ეკონომიკა და ბიზნესი, სპორტთან ერთად მიიღებს მსხვილ შემოსავლებს.

თორნიკე გოგებაშვილი, საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი:

– ვიმედოვნებ, ჩელენჯ თასი შავ ლომისთვისაც გაიხსნება. თუმცა, გაჩერებას არც ამაზე ვაპირებთ და ჩართვას სხვა მაღალი დონის ტურნირებშიც ვგეგმავთ; ამ მიზნით მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს ყველა მსხვილი საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებთან. რა თქმა უნდა, მსოფლიო რაგბისა და მთავრობის მხარდაჭერით. წარმატების მისაღწევად მონაწილეთა ჩამონათვალი არ მთავრდება: სულ მალე ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები პირველად შეხვდება ინგლისის 20 წლამდელთა პირველ ნაკრებს, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება. წინ მსოფლიო თასი ელის ჩვენს ბორჯღალოსნებსაც – ორივეს შედეგები მნიშვნელოვანი იქნება, მნიშვნელოვანი იქნება გულშემატკივრების აქტიურობაც – ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, დავუმტკიცოთ მსოფლიოს, რომ ჭეშმარიტად სარაგბო ქვეყანა ვართ, რომ რაგბი ნამდვილად ჩვენი თამაშია და, შესაბამისად, ყველაზე მაღალ ასპარეზზე თამაშს ვიმსახურებთ.

სეოკ-ის სპორტსმენთა კომისიის თავმჯდომარედ გოგიტა არქანია აირჩიეს

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (სეოკ) სპორტის სხვადასხვა სახეობების ნაკრების წევრ სპორტსმენთა წარმომადგენლობითი შეკრება გაიმართა, რომლებმაც მონაწილეობა სპორტსმენთა კომისიის შემადგენლობის როტაციაში მიიღეს.

საზოგადოებას სიტყვით მიმართეს, სპორტსმენთა უფლება-მოვალეობების და სეოკ-ის სპორტსმენთა კომისიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, ვიცე-პრეზიდენტმა ნინო სალუქვაძემ, გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა რუსუდან აფციაურმა.

სეოკ-ის წარდგინებით, სპორტსმენთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს კარატისტი გოგიტა არქანია, თავმჯდომარის მოადგილედ – ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი.

სეოკ-ის სპორტსმენთა კომისიის სრული შემადგენლობა ასეთია:

გოგიტა არქანია (კარატე) – თავმჯდომარე; ეთერ ლიპარტელიანი (ძიუდო) – თავმჯდომარის მოადგილე;

კომისიის წევრები: ლუბა გოლოვინა (ტანვარჯიში), ნათია გადელია (ძალოსნობა), ლაშა გურული (კრივი), ალექსანდრე წივწივაძე (კანოე), გივი მაჭარაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), სოსო ჯაფარიძე (სამთო-სათხილამურო სპორტი), გიორგი მაგრაქველიძე (წყალბურთი), გიორგი მუჯარიძე (მძლეოსნობა), ცოტნე მაჭავარიანი (ტყვიის სროლა).

სეოკ-ის სპორტსმენთა კომისია ერთგვარ საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს და ოლიმპიურ კომიტეტსა და აქტიურ სპორტსმენებს შორის შემაკავშირებელ რგოლია. კომისიამ სპორტსმენთა უფლებების დაცვაზე უნდა იზრუნოს.

შედეგები

22 მაისი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ნიუკასლი-ლესტერი 0:0

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	36	28	4	4	93-31	88
2.არსენალი	37	25	6	6	83-43	81
3.ნიუკასლი	37	19	13	5	67-32	70
4.მანჩესტერი	36	21	6	9	52-41	69
5.ლივერპული	37	19	9	9	71-43	66
6.ბრაიტონი	36	18	7	11	70-50	61
7.ასტონ ვილა	37	17	7	13	49-45	58
8.ტოტენჰემი	37	17	6	14	66-62	57
9.ბრენტფორი	37	14	14	9	57-46	56
10.ფულემი	37	15	7	15	54-51	52
11.კრ.პალასი	37	11	11	15	39-48	44
12.ჩელსი	36	11	10	15	36-42	43
13.ვულვზი	37	11	8	18	31-53	41
14.ვესტ ჰემი	37	11	7	19	41-53	40
15.ბორნმუთი	37	11	6	20	37-70	39
16.ნოტინგემი	37	9	10	18	37-67	37
17.ევერტონი	37	7	12	18	33-57	33
18.ლესტერი	37	8	7	22	49-67	31
19.ლიდსი	37	7	10	20	47-74	31
20.საუთჰემპტონი	37	6	6	25	32-69	24

იტალია. სერია ა

რომა-სალერნიტანა 2:2
ემპოლი-იუვენტუსი 4:1

სატუნინიო ცხრილი:

1.ნაპოლი	36	27	5	4	73-26	86
2.ლაციო	36	20	8	8	55-28	68
3.ინტერი	36	21	3	12	67-40	66
4.მილანი	36	18	10	8	60-42	64
5.ატალანტა	36	18	7	11	59-43	61
6.რომა	36	17	9	10	47-35	60
7.იუვენტუსი	36	21	6	9	55-32	59
8.მონცა	36	14	10	12	46-46	52
9.ფიორენტინა	36	13	11	12	48-41	50
10.ბოლონია	36	13	11	12	48-45	50
11.ტორინო	36	13	11	12	38-40	50
12.უდინეზე	36	11	13	12	45-44	46
13.სასუოლო	36	12	8	16	43-56	43
14.ემპოლი	36	10	12	14	36-46	42
15.სალერნიტანა	36	8	15	13	45-58	39
16.ლეჩე	36	7	12	17	30-43	34
17.სპეცია	36	6	13	17	30-56	31
18.ვერონა	36	7	9	20	29-55	30
19.კრემონეზე	36	4	12	20	32-66	24
20.სამპდორია	36	3	9	24	22-67	18

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 10 ქულა

საფრანგეთი. ლიგა 2

ლე ავრი-ვალანსიენი 0:2

ნიდერლანდები. ეროვნული ფლეი ოუტი

ეინდჰოვენი-ალმერე 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

ტრაბზონი-ქარაგუმრუქი 4:1

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-რანდერსი 3:1

შვედეთი. ალსვენსკა

ვერნამო-კალმარი 0:1
ნორჩიოპინგი-ელფსბორგი 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ქართველი მეტალურგი, აკადემიკოსი; 2. დიდი ფორმატის უხვად დასურათებული მდიდრულად გაფორმებული ბეჭდვითი გამოცემა; 3. ჩეხი კომპოზიტორი; 4. გია დანელიას კინოკომედია; 5. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 7. ქართველი სუმოისტი; 11. ხელის მინიშნებითი, გამომხატველობითი მოძრაობა; 12. ძველებური ქართული ცხენოსნური თამაში-შეჯიბრი; 13. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 14. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის ტრაგედიები; 15. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 17. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 19. ირლანდიური ცეკვა.

თარაზულად: 5. ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქი; 6. თავფეხიანთა ოჯახის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 8. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირზე გადაცემის შესახებ; 9. წნული ქოხი სამეგრელოში; 10. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 11. ტკბილი, წითელი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 13. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 14. ქვეწარმავლის შხამი; 16. სამხრეთ ამერიკელ ინდიელთა ნაქსოვი უსახელო მოსასხამი; 18. ევროპაზიის გამყოფი ქედი; 20. მოხარშული და გადაზელილი ყველი; 21. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბატერფლაი; 2. დიუპონი; 3. ბედეგი; 4. მენჯი; 5. პრესტო; 11. გვრინი; 12. ავუარი; 14. ჯინი; 16. პროტონი; 17. ტყიბული; 19. ტროტილი; 21. საარი; 22. ფეტვი.

თარაზულად: 6. ჯაფარიძე; 7. კვეტერა; 8. ჯინსი; 9. ორფოლო; 10. გროგი; 13. ბანჯო; 15. სპირიჩუელი; 18. ლიბრეტო. 20. ყუმი; 21. სუდოკუ; 23. ჰიპერტონია; 24. ლაზერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაროკო; 2. იშხანი; 3. დრამერი; 4. ღერღედი; 5. ბოცმანი; 7. სევილია; 11. ჰაადა; 12. ქაფშია; 13. მაპატმა; 14. კარწახი; 15. შარადა; 17. გრიზლი; 19. ძონი.

თარაზულად: 5. ბომარშე; 6. მაღრაძე; 8. ნივა; 9. ნაიძე; 10. ასკოტი; 11. ჰავა; 13. მასმედია; 14. კიაზო; 16. დგუში; 18. ლუარა; 20. ხატწერა; 21. დუბლეტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

24 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5570

ევრო — 2.7559

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1674

100 რუსული რუბლი — 3.1933

ამინდის პროგნოზი 24 მაისისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინიციუსი რეალის და ესპანეთის დატოვებაზე ფიქრობს

ვინიციუს ჯუნიორი ესპანეთში ხშირად ხდება რასიზმის მსხვერპლი და ბოლო თამაშში ვალენსიასთან იგივე განმეორდა. ამის გამო ვინიციუსმა რამდენიმე სტატუსი დაწერა ინსტაგრამზე და არ გამორიცხა, რომ მან ესპანეთი დატოვოს, რადგან მისთვის იქ თამაში უკვე აუტანელია. ვინიციუსს ბევრი ფეხბურთელი გამოექომაგა და მათ ლა ლიგას მოქმედებისკენ მოუწოდეს რასიზმის წინააღმდეგ. ლა ლიგის პრეზიდენტმა ტებასმა განაცხადა, რომ ისინი ზომებს მიიღებენ.

მესის პსჟ-ში დარჩენა არ სურს

პსჟ-ს ფორვარდს ლიონელ მესის გუნდში დარჩენა არ სურს და მან თავის აგენტს ახალი გუნდის მოძებნა დაავალა. ბევრი საუბარია იმაზე, რომ მესი ბარსელონაში დაბრუნდება, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ჭორებია და არც ერთი მხარე ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. შესაძლოა მესიმ კარიერა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი, ინტერ მაიამიში გააგრძელოს.

რობერტ ლევანდოვსკი: „კიდევ უფრო მეტი შემიძლია“

ბარსელონას პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას თავისი მაქსიმუმი არ უჩვენებია და მომავალ სეზონში ის კიდევ უფრო უკეთეს შედეგს დააფიქსირებს. რობერტის თქმით, მას დრო არ ჰქონდა, რომ სეზონისთვის კარგად მომზადებულიყო: „ჩემი ნაჩვენები შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ვიცი, რომ მეტი შემიძლია. ზაფხულში კარგად მოვემზადები და ასაკი ხელს არ მიშლის იმაში, რომ მაღალ დონეზე ვითამაშო“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქართული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები საჯაროა

ეროვნულმა არქივმა საზოგადოებას ახალი გამოცემა წარუდგინა. წიგნი „ქართული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები“ საარქივო ფონდებში დაცულ ხელნაწერებსა და ისტორიულ საბუთებს აერთიანებს.

გამოცემაში შეტანილია ეროვნულ არქივში დაცული IX-XIX საუკუნეების ხელნაწერებისა და ისტორიული საბუთების მოხატულობები და შემკულობები, გამორჩეული ანდერძ-მინაწერები და ავტოგრაფული ნუსხები, იუნესკოს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შეტანილი ნუსხები, ბოლო ხანებში გამოვლენილი პალიმფსესტები და სხვა სიახლეები, ხელრთვები და ბეჭდები. კრებულის რედაქტორ-შემდეგენელი ქეთევან ასათიანია, რედაქტორები ნათია დუნდუა, დალი ჩიტუნაშვილი და მანანა ჭუმბურიძე არიან.

არქივში 1.000-მდე ხელნაწერი და 15.000-ზე მეტი ისტორიული საბუთი ინახება. ახალი გამოცემის პრეზენტაცია საგამოფენო პავილიონში გაიმართა. ღონისძიებას სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და მინწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

24 მაისისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება დღის მეორე ნახევარი. **კურო** – დღეს მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **ტყუპები** – იმედი გიცრუვდებათ. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გიმართლებთ პირად ცხოვრებაში. სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები იღბლიანი იქნება. იღბლიანი დღეა ასევე საყიდლებზე წასასვლელად, სამოგზაუროდ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებას. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით წარმატებული დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული ხიბლი. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებსა და შეხვედრებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. დღე რაციონალურად დაგეგმეთ. **ვერძწყალი** – ფინანსური პრობლემების მოგვარება დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. **თევზები** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. დღის მეორე ნახევარში სასიყვარულო ურთიერთობაში გაურკვევლობა იჩენს თავს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ტელეფონის ზარი:

– ალო! ეს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაა?

– დიახ, და ვინმემ განყენინა, შე ცხოველო?

●●●

გვიან ღამით ცოლი ქმარს აღვიძებს. კაცმა თვალი გაახილა და ცოლს ეკითხება:

– რა იყო, შეიშალე? ღამის სამი საათია. რა მოხდა?

– თავი აღარ მტკივა.

●●●

მასწავლებელი გაკვეთილს ატარებს, მაგრამ გვერდით კლასიდან გამომავალი ხმაური ხელს უშლის. ბოლოს ვეღარ მოითმინა, გავიდა, მთავარ ამრეკვს ყურში ხელი სტაცა და საკუთარ კლასში შემოათრია. გვერდით კლასში სიჩუმემ დაისადგურა. გარკვეული დროის შემდეგ კარზე კაკუნი გაისმა. მასწავლებელი კარს აღებს, იქ კი მოსწავლე დგას და მორიდებით ეუბნება:

– პატივცემული, იქნებ ჩვენი მასწავლებელი დაგვიბრუნოთ?

●●●

სიჩქარის გადაჭარბებისთვის პატრულმა მამაკაცი გააჩერა და ჯარიმის ქვითარი გამოუწერა. გაბრაზებული მძღოლი ჯარიმის გადახდის შემდეგ პოლიციელს ეკითხება:

– ეს ქვითარი რაღაში მჭირდება?!

– შეინახე და, 12 ცალი რომ მოგიგროვდება, საჩუქრად ველოსიპედს მიიღებ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინი წიკლაური დააჯილდოვეს

ამერიკაში მცხოვრები მომღერალი ნინი წიკლაური დააჯილდოვეს. მან პრიზი ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის გამო მიიღო:

– ზარები და მესიჯები რომ არ წყდება და უამრავ სიყვარულს ვიღებ, ამ ბედნიერების გადმოცემა შეუძლებელია. ტირილამდე ბედნიერი ვარ, რადგან ამ ქვეყანაშიც ფასდება შრომა, წესიერება, მეგობრობა, სიყვარული, სიმართლე, ადამიანობა, მუსიკა და, რაც მთავარია, ფასდება ერთგულება როგორც ადამიანებისადმი, ისე საქმისადმი. მადლობა ღონისძიების სულის ჩამდგმელსა და ჩვენი ემიგრაციის ბრილიანტს, რომელმაც დამიფასა შრომა, რომელსაც ჩემს უძვირფასეს „ციცინათელაში“ ვდებ, რომ ამერიკაში „ქართულად იმღერონ“! ეს ჩემი მუსიკალური მოღვაწეობის დევიზია და ალბათ ამიტომაც გამომდის საქმე იდეალურად, რადგან მართალი ვარ ჩემს საქმეში, ვაკეთებ იმას, რაც ჩემია, რაც ორგანულია და რაც ქართულია. ეს ბავშვები კი ყველაზე გამჭვირვალე ადამიანები არიან, ვისაც კი შევხვედრივარ ცხოვრებაში. წინ ბევრი გეგმები მაქვს და მადლობა, რომ მაძლევთ სტიმულს, ვიყო დაფასებული.

პოეტი ლევან ალავერდაშვილი გარდაიცვალა

51 წლის ასაკში პოეტი ლევან ალავერდაშვილი ინსულტით გარდაიცვალა.

მისი პოეზია ფართო საზოგადოებას პოეტმა თემურ ელიავამ გააცნო, როდესაც „ნანუკას შოუსთან“ ერთად კახეთში, მშობლიურ სახლში ეწვია შემოქმედს და ვრცელი სიუჟეტი მოამზადა.

ლევან ალავერდაშვილი ერთი პოეტური კრებულის „ნუ დამაჯერებ“ ავტორია.

ნანუკა გოგიჩაიშვილი მეორე გოგონას დედა გახდა

მოდელი ნანუკა გოგიჩაიშვილი მეორე გოგონას დედა გახდა. მან ამერიკაში იმშობიარა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. პატარას მშობლებმა ავა დაარქვეს.

ნანუკას მეუღლე ნიკოლოზ ნაყოფიაა. მათ პირველი გოგონა – აივი ნიკოლი – 2 წლის წინ შეეძინათ.

რუსთაველის თეატრმა უნიკალური ექსპონატები გამოფინა

მსოფლიო მუზეუმების საერთაშორისო დღეს რუსთაველის ეროვნული თეატრიც შეუერთდა და ცენტრალურ ფოიეში მხატვარ-დეკორატორების გამოფენა „თეატრალური ვერნისაჟი“ წარმოადგინა. ექსპოზიციაზე გამოიფინა მერაბ მერაბიშვილის, მალხაზ გოგიჩაშვილის, გიორგი ქვრივიშვილის, ნინო ქორიძის, გიორგი ლაღიძის ნამუშევრები, ხელოვანების, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან თავიანთ პროფესიას, თეატრს. დეკორაცია თუ რეკვიზიტი, რომელსაც მაყურებელი საბოლოო სახით სცენაზე ხედავს და თეატრის იდუმალ სამყაროში ამოგზაურებს, მათი ხელითაა შექმნილი. მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ასევე გამოიფინა მუზეუმის თანამშრომლის მარიამ მერაბიშვილის ნამუშევრებიც.

რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმში დაცულია უნიკალური ხელნაწერები, მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მოვლენის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა, აფიშები, პლაკატები, პროგრამები, დეკორაციის ესკიზები, მაკეტები, გამოცემები...

ხელნაწერთა განყოფილებაში 8.000 ერთეული ექსპონატია დაცული – აკაკი წერეთლის ხელნაწერი პიესისა „გელა“, სანდრო ახმეტელის სპექტაკლების სარეპეტიციო ჩანაწერები არჩილ ჩხაიძეშვილის მიერ... ფოტო-ფონო განყოფილებაში – 35.000 ერთეული მარლენ ბაბოვის, იური მეჩიტოვის და მედეა ოქიტაშვილის მიერ გადაღებული 16.000 ფოტო-ნეგატივი ასახავს რუსთაველის თეატრის მნიშვნელოვან შემოქმედებით მოვლენებს: პრემიერებს, გასტროლებს, შეხვედრებს, საღამოებს, გამოფენებს, დისკუსიებსა და სპექტაკლების საიუბილეო თარიღებს... სახვით განყოფილებაში – 3.000 ერთეული ვალერიან სიდამონ-ერისთავის, ირაკლი გამრეკელის, სერგო ქობულაძის, სოლიკო ვირსალაძის, გიორგი ალექსი-მესხიშვილის, მირიან შველიძის, თეიმურაზ ნინუას კოსტუმებისა და დეკორაციების ესკიზები, მაკეტები... აუდიო-ვიდეო განყოფილებაში – სანდრო ახმეტელის სპექტაკლების „ლამარა“,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოხვეოხდი ↄ



შვეულად: 1. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 2. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 3. მუსლიმთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 4. ზღვის თხელწყლიანი სანაპირო ზოლი, რომელიც მდიდარია სასარგებლო წიაღისეულებით; 5. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 11. მონასტერი ხულოს რაიონში; 12. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 14. ემილ ზოლას რომანი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. სხვაობა პროლუქციის ვალუტის გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის; 22. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 6. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 7. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 8. კვების პროდუქტების შესაფუთად გამოყენებული ფერადი ლითონის თხელი ფურცელი; 9. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 10. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. საკათედრო ტაძარი თბილისში; 15. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული; 18. რიგითი მეზღვაური; 20. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 21. მთა თბილისში; 23. კერძო დეტექტივების მეტსახელი აშშ-ში; 24. ოპტიკური მოვლენები ატმოსფეროში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა